

საქართველოს
თეატრალური
საზოგადოებრივი
ბიბლიოთეკა

1 1962





ს. თ. ს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

მ ო ა მ ბ ე

19 თბილისი 62

იანვარი, თებერვალი, მარტი

№ 1 (19)



რედაქტორი: ოთარ ეზაძე

სარედაქციო კოლეგია:

აღიო ადამია, ვერიკო ანჯაფარიძე,
თამარ ბაქრაძე, ოთარ ევაძე, ლილი
ლომთათიძე, შალვა მებურიშვილი,
ნინო შვანგირაძე

საზოგადოება ხალხის სამსახურში

ჩვენი თაობა ქვეყნარტულ გრანდიოზული შემოქმედებითი ძიებებისა და ნოვატორობის ეპოქაში ცხოვრობს. დღეს კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე სისხლსავსეთ სჩქედს საბჭოთა ადამიანების შრომის პულსი. ქარხნებში და ფაბრიკებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, თეატრებსა და ხელოვნების დაწესებულებებში შრომისა და შემოქმედების მილიონობით ადამიანები იღვწიან, დოვლათს ჰქვნიან, სულიერ საუნჯეს ამდიდრებენ და კომუნისზმის დიადი შენობის აგებას აჩქარებენ.

შრომისა და შემოქმედების ამ მშვენიერ სიმფონიაში მკაფიოდ ისმის ქართველ ხელოვანთა ძლიერი, აზრიანი, ლამაზი და შთამბავნიელი ხმა. საბჭოთა თეატრი, მწერლობა, კინემატოგრაფია, მხატვრობა და ტელევიდეო ცენტს როდი აკეთებს იმისათვის, რომ ამაღლდეს ახალი საზოგადოების მშენებელი მასების იდეურ მხატვრული დონე. ხელოვნება ეხმარება ადამიანებს ესთეტიკურ აღზრდაში.

ამ კეთილშობილურ და საპატიო ამოცანაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია საქართველოს თეატრალური საზოგადოებას, მიუღ თეატრალურ საზოგადოებრიობას, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს ხალხის სამსახურში ხელოვნების ჩაყენებას, ცხოვრებასთან თეატრის დაახლოებას და მჭიდრო კავშირის განმტკიცებას.

ამ მხრივ ცოტა რამ როდი გაკეთდა. ქართული თეატრი ცხოველი ყურადღებით ეკიდება ხალხის მოთხოვნებს, დაიწერა მრავალი ახალი პიესა, რომლებშიც ასახულია თანამედროვე საბჭოთა ადამიანების შრომა, ცხოვრება, შემოქმედება, დაიდა სპექტაკლები, რომლებიც იდეურად ზრდიან და ესთეტიკურ ხიამოვნებას ჰგვრიან მხახვლებს. ქართული საბჭოთა თეატრის წარმატებები უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი ხალხის საერთო ეკონომიურ და კულტურულ წარმატებებთან. უკანასკნელ წლებში მოსკოვში ჩატარებულმა ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადამ, ჩვენი თეატრების გასტროლოგმა

ნათლად დაადასტურეს ქართული თეატრალური კულტურის ბრწყინვალეობა, მისი ხალხურობა და იდეურობა.

გაიზარდნენ და დეაჟაცდნენ ქართული თეატრის ოსტატები, ძველი თაობის კორიფეებთან ერთად სცენას ამშვენებენ საშუალო და ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებმაც უკვე შექმნეს ჩვენი დროის გმირო ადამიანების არაერთი დაუვიწყარი მხატვრული იერსახე. ქართულ თეატრში აღიზარდნენ ნიჭიერი რეჟისორები რომელთა ოსტატობას უნდა ვუმაღლოდეთ არაერთი ბრწყინვალე სპექტაკლის შექმნას. თეატრმა კიდევ უფრო მეტად გამოავლინა ახალი ძალები, შემოიკრიბა მხატვრები, კომპოზიტორები, ქორეოგრაფები, ყველა ისინი რომელთა ნიჭი და ფანტაზია, გემოვნება და გამომგონებლობა ფერადოვანსა და ჟღერადს ხდის ქართულ საბჭოურ სპექტაკლებს.

მიღწევები ბევრია, მაგრამ მინც არ არის საკმარისი. საქართველოს თეატრალური საზოგადოების მოღვაწეობაში ყოველთვის იდგა ერთ მთავარ საკითხად ჩვენი თეატრალური კულტურის შემდგომი ამაღლება, თეატრის მუშაკთა შემდგომი დაოსტატება. საზოგადოებამ ცოტა მუშაობა როდი ჩაატარა იმიტომის გამო უფრო მეტად გამოვლინებულიყვნენ დრამატურგთა ახალი კადრები, ამაღლებულიყო სცენის ოსტატთა კვალიფიკაცია. ამ მიზნით ტარდებოდა კონკურსები თანამედროვეობის თემაზე დაწერილ პიესებზე, ბევრ მსახიობსა და რეჟისორს მიეცა შემოქმედებითი მივლინება, ბევრიც დაჯილდოებული იქნა საპატიო სიგელით, დრო და დრო ეწყობა თეატრალური დადგმების გარჩევა— დისპუტები.

ყოველივე ეს გარკვეულად დაეხმარა ჩვენი თეატრების მხატვრული ოსტატობის ამაღლებას, მაგრამ ვასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, სწორედ ამის გარშემო უნდა გაიზალოს დისკუსია საქართველოს თეატრალური

საზოგადოების V ყრილობაზე, რომელიც ჩატარდება 1962 წლის 16—17 აპრილს. ქართული თეატრის მოღვაწეთა ამ დიდ ფორუმზე მთელი პირდაპირობითა და სიცხადით უნდა აღვნიშნოთ მიღწევაც და ნაკლიც.

მხოლოდ პრინციპული, მეგობრული, კრიტიკითა და ანალიზით არის შესაძლებელი

ჩვენი თეატრების მუშაობაში არსებული ჩრდილოვანი მხარეების მოსაოხრა, წარმატებებზე მხარის სწორება და თეატრალური ხელოვნების იმ სიმაღლეზე ატანა, როგორსაც მოითხოვს ჩვენი ხალხის სულიერი და მატერიალური აწმყოს საბჭოთა ქვეყნის ბრწყინვალე მომავალი.

მეექვსე კლენში

1962 წლის 8 იანვარს შედგა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მეოთხე მოწვევის მეექვსე პლენუმი. დღის წესრიგში იდგა:

1) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და თეატრალური საზოგადოების ამოცანები.

2) საორგანიზაციო საკითხი.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თემფდომარე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დრამატურგი მიხეილ მრეველი. მან ყურადღება გაამახვილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე და ღრმად გააანალიზა ყრილობის მიერ მიღებული ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა.

სკკპ ახალი პროგრამა, — აღნიშნა მომხსენებელმა. — კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნასთან ერთად მიზნად ისახავს ახალი ფორმაციის ადამიანის ჩამოყალიბებას.

პროგრამა, უპირველეს ყოვლისა, სრულყოფილი ადამიანის აღზრდას ითვალისწინებს და ამ ადამიანისათვის სულიერი და მატერიალური დოვლათის დაგროვებაზე ზრუნავს; „ყველაფერი ადამიანისათვის — ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ“, ადამიანისათვის, რომელიც იპყრობს კოსმოსს, ჰქმნის ახალ ტექნიკას, ახდენს ახალ აღმოჩენებს, გვიჩვენებს შრომის ენთუზიაზმის უმაგალითო გამრობას.

მომხსენებელს მოჰყავს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა XXII ყრილობაზე... „ყველა ფასეულობიდან, რომელიც სოციალურმა წყობილებამ შექმნა, ყველაზე დიდი ფასეულობა ახალი ადამიანია“ და დაასკვნის, რომ სწორედ ამ ახალი ადამიანის ბუნების ჩამოყალიბებას, მის შემდგომ კულტურის ზრდას, მასში ყოველივე უცხო ჩვევების და გადმონაშთების აღმოფხვრას ითვალისწინებს დიდი კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა.

მიხეილ მრეველიშვილი ვრცლად შეჩერდა

იდეოლოგიურ საკითხებზე ჩატარებულ საკავშირო თათბირის შედეგებზე, სადაც ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღინიშნა ლიტერატურისა და ხელოვნების როლი ახალი ადამიანის სულიერი ჩამოყალიბების საქმეში და დასძინა, რომ სულიერი სიმდიდრე თავისში ითავსებს არა მარტო იდეურ მიზანდასახულებას, არამედ შინაგანი კულტურისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარებასაც. კომუნისტური იდეოლოგიური ბრძოლის ასპირზე ახლებურად ისახება საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ორგანიზაციების მნიშვნელობა. სწორედ ამ ორგანიზაციებში უნდა აღმკვიდრდეს შემოქმედებითი ატიმიფერო, რომელიც ლიტერატურასა და ხელოვნებასკიდევ უფრო დაუკავშირებს ცხოვრებას, ხალხს.

საბჭოთა ადამიანის ესთეტიკური აღზრდისა და მხატვრული გემოვნების ფორმირების პროცესში, — განაგრძობს მომხსენებელი, — განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება საბჭოთა კავშირის ნაციონალური კულტურის განვითარებას.

კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა ითვალისწინებს საბჭოთა რესპუბლიკების შემდგომი ეკონომიური და კულტურული აყვავების პროცესს, უზრუნველყოფს სსრ კავშირის ხალხთა ერების თავისუფალ განვითარებას და ხელს უწყობს მათ მჭიდრო და ყოველმხრივ დაახლოვებას.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები თავისი ცხოველმყოფელი შემოქმედებით შემდგომშიაც იდგებიან საბჭოთა კულტურის ფრონტის მოწინავეთა რიგებში. ინტერნაციონალური სულის, რევოლუციური ბრძოლებში გამობრდილი ქართველი ხალხი ყვლაყვ ადამალებს საკუთარ ხელოვნებას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ახალი ქვეყნის მშენებლობა.

ლიტერატურა და ხელოვნება სულიერ საზრდოს აწვდის საბჭოთა მოკალაქეებს, აღვივებს მათში ხალხთა მეგობრობის გრძნობებს, ზრდის საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებას, რაზმავს მასებს ახალ მწვერავალთა

დასაპრობად შემოქმედებითი შრომის ფორ-
ტზე, ამახვილებს მის ყურადღებას ყოველივე
ურაცხოფიითსადმი, რაც კი ხელს უშლის სა-
ზოგადოების წინსვლას და განვითარებას.

ყოველივე ეს თიფქოს ახალი არ არის.
ახალი აქ, ალბათ, უნდა იყოს ფორმების ძიება,
რომელიც ამ ბოლო დროს განსაკუთრებით
თეატრალურ ხელოვნებაში იგრძნობა. სო-
ციალისტურმა ეპოქამ და ცივილიზაციის
ზრდამ ახალი სანახაობითი საშუალებანი შე-
ქმნა. კინოხელოვნება, ტელეხედევა და რადიო-
უფრო გარკვევით შეეჯიბრა თეატრალურ
ხელოვნებას და მაყურებელთა საგრძნობი ნა-
წილი მიიზიდა. თეატრს, მართალია, დარჩა
კოცხალი კონტაქტის უპირატესობა, მაგრამ
მაინც პირობითი განხორციელებაში დარჩა. მაგ-
რამ, ვიქტორბ, ეს ძიება უშედეგო არ იქნება
და თეატრი მუდამ შეინარჩუნებს ხელოვნების
სხვა დარგისთვის მიუწვდომელ მიმზიდვე-
ლობას.

საბჭოთა თეატრალური კულტურა არ გა-
მორიციხავს რეპერტუარიდან არც ჟანრობ-
რივ მრავალსახეობას და არც თემატურ
მრავალფეროვნებას. ჩვენი თეატრებისათვის
საჭიროა კომედიაც და სატირაც, დრამაც და
ტრაგედიაც. მაყურებელს იზიდავს ახალი
თვალთ დანახული ისტორიული პიესაც და
ჩვენი ხვალისდელი ხელშესახები ფანტასტი-
კაც. მაგრამ მთავარი და ძირითადი თემა,
მაგისტრალური ხაზი ჩვენი თეატრების სა-
რეპერტუარო მიმართულებსა მანაც თანა-
მედროვეობაა კომუნიზმის მშენებელი ადამი-
ანით, მისი ღრმა ინტელექტური და რომან-
ტიკული სამყაროთა.

პიესის კომპოზიციურად, ორგინალურად
აგება, სცენურად მისი ახლებურად გადაწყვე-
ტა ჩვენს დრამატურგიასა და თეატრშიც
შეინიშნება.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია
რუსთაველის თეატრში განხორციელებული
სპექტაკლი „ზღვის შეილები“. ახალგაზრდა
დრამატურგის გიორგი ხუბაშვილის
პიესაში, რეჟისორმა მიხეილ თუმანი-
შვილიმა იმავე მასალა საინტერესო სპექ-
ტაკლის შესაქმნელად. რეჟისორისა და ავტო-
რის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის,
რომ სპექტაკლში იგრძნობა დიდი ოპტი-
მიზმი. თაობათა კვიდილის მაგიერ—თაობათა
ურთიერთგაგების კეთილშობილური პრობ-
ლემა დასმული, მაგრამ ავტორისაც და რე-
ჟისორისაც ჯერ კიდევ ზევრი რამ აქვთ ვასა-

ცხრილავი, განსაკუთრებით ფინალში, სადა
რამდენიმე წერტილი ისმის.

საერთოდ, დაასკვნის მომხსენებელი, „ზღვის
შეილები“ რუსთაველის თეატრის შემო-
ქმედებითი კოლექტივის სერიოზული ნამუ-
შევარია.

ინტერესმოკლებული არ არის სანიტა-
რული კულტურის თეატრში რეჟისორ ლი-
დი იოსელიანის მიერ დამდგმული მისივე
პიესა „ჩვენი ერთი საღამო“.

გრიგოლ აბაშიძის პიესა „მოგზაურო-
ბა სამ დროში“ (გრიბოედოვის სახ. სახელ-
მწიფო თეატრში) ახალი გზების ძიების
ცდაა დრამატურგიაში. პიესის ლიტერატუ-
რული ღირსება საეგვო არაა, მაგრამ, სჩანს,
რეჟისორმა ვერ მოუხახა მას ვასალები, სცე-
ნურად ვერ ამატეყველა.

დიდი კამათი გამოიწვია რევაზ ებრა-
ლიძის პიესამ „თანამედროვე ტრაგედია“,
შეიქმნა სხვადასხვა აზრი პიესაზედაც და მის
სცენურ ღირსებაზედაც. მიუხედავად რეცენ-
ზეტა აზრთა სხვადასხვაობისა, მე ჩემი აზრი
მაქვს პიესაზე. ერთი შეხედვით თითქოს ყო-
ველივე რიგზეა როგორც დრამატურგიაში,
აგრეთვე რეჟისორულ ნამუშევარშიც. მაგრამ
ერთი უდაოა, პიესას აკლია სითბო, სიღრმე
და რომანტიკა. შეიძლება ვცდები, ვერ გა-
ვიგე პიესის ფილოსოფიური აზრი, მაგრამ
მე მოქალაქე ვარ და უფლება არა მაქვს, არა
ვთქვა, არასაც ვგრძნობ,—დაასკვნა მ. მრეველი-
შვილია.

მომხსენებელმა ილაპარაკა კრიტიკისა და
ფეითკრიტიკის საკითხებზეც: კრიტიკაში
ევლისსიმობ იმ ჯანსაღ ობიექტურ ვულშემე-
ტივარ კრიტიკას, რომელიც შემოქმედის
დაოსტატებას ხელს უწყობს და დიფურ
ზრდაში ეხმარება,—თქვა მან.

შეგბო რა დიმიტრი ალექსიძის ღია წე-
რილს, მომხსენებელმა თქვა: ამ წერილში
ავტორმა ბევრი საინტერესო და ამაღლებე-
ბელი საკითხი წამოჭრა, მე აღარ შეგედავებ
მას, ვინაიდან პრესაში უკვე გავციე პასუხი,
მხოლოდ ერთ გარემოებაზე შეგაჩერებ კუარად-
ლებმა, ჩვენმა რეჟისორებმა საკლიად მიი-
ვიწყეს რაიონის თეატრები. მათ უკი ძალიან
უქირთ. მაგალითად, თელავის ნიქიერ კო-
ლექტივს წლების განმავლობაში არა ჰყავს
ზეირიანი სახატავრო ხელმძღვანელი, ზუგდი-
დის თეატრი, მართალია, ასრულებს ფინან-
სიურ გეგმას, მაგრამ უფრო უკეთესი უნდა
იყოს მათი სპექტაკლების ხარისხი. ასეთივე



მდგომარეობა ფოთის თეატრში. რაიონული თეატრალური კოლექტივები დიდ შემოქმედებით დახმარებას მოითხოვენ.

ამრიგად, დასკვნის მომხსენებელი, ჩვენი რესპუბლიკის თეატრის უძრაველსიამა, გასულ 1961 წელს დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა. მათ რეპერტუარში მნიშვნელოვან დამატებასთანამედროვეობის ამსახველი პიესების ხვედრითი წილი. მივლ რიგ თეატრებში ქართულმა ორგანიზაციამ, თანამედროვე პიესებმა მაღალი პროფესიული ჟღერადობა მიიღეს და კარგ სცენურ ნაწარმოებებზე იქცნენ. ძველი თაობის გვერდით თავი იჩინეს ახალ-გაზრდა აქტიორულმა ძალებმა, რეჟისორებმა, მხატვრებმა.

საქართველოს კულტურის სამინისტროს, საქართველოს თეატრალური საზოგადოების გადაუღებელი საქმეა დაეხმარონ რესპუბლიკის თეატრებს შემოქმედებითად და მატერიალურად.

ჩვენ მთელი ცოდნა და გამოცდილება მაქსიმალურად უნდა მოვახმაროთ პროგრამით დასახულ ჟრანდიოზულ ამოცანათა პირნათლად შესრულებას, დავაკმაყოფილოთ მაყურებელთა გაზრდილი კულტურული მოთხოვნები და სათეატრო ხელოვნების იდეურ-მხატვრული დონე კიდევ უფრო მეტად ავამაღლოთ. — ამბობს დასასრულს მიხ. მრეველი-შვილი.

მოხსენების შემდეგ გაიმართა გაცხოველებული კამათი. პირველი გამოვიდა დრამატურგი იონა ვაკელი, რომელმაც აღნიშნა, რომ უქანასკნელ ხანს შესუსტდა შემოქმედებითი კავშირი თეატრსა და დრამატურგიას შორის, რამაც რეპერტუარის გაღარიბება გამოიწვია.

ჩვენი რესპუბლიკის წამყვანი თეატრები ტრადიციისამებრ არ თანამშრომლობენ ნაცად დრამატურგებთან. ისინი უცდიან პიესის პერიფერიის თეატრებში გამარჯვებას ან დამარცხებას და მერე მსჯელობენ მის ვარგისიანობაზე.

ჩვენი რეჟისურა, აღნიშნა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ, ძალიან მინდობილია საკუთარ გემოვნებას, მაგრამ მისი არჩევანი არ ემთხვევა საზოგადოებრივ აზრს, რეჟისორის დიდი უმრავლესობა გაეთიშა სამხატვრო საბჭოებს, არ უწევს ანგარიშს მწერლობის აზრს, მათი თვითდაჯერება იქამდე მივიდა, რომ პიესა

იდგმება, მაგრამ სამხატვრო საბჭომ შესახებ არა იცის რა.

ბოლო ხანებში, განსაკუთრებით დედაქალაქის თეატრებში, შეიმჩნევა ახალი ვატაცება სპექტაკლების ტექნიკური გაფორმებით, მსახიობი დადის სცენაზე, ხოლო მისი განცდების შესახებ სხვა მოგვითხრობს რადიოს საშუალებით, რაც ყოველად დაუშვებელია. ა. ხორავა აღნიშნავს, რომ რეჟისორი და დრამატურგი ერთმანეთს ნაკლოვანებებს უკვირებენ, მაგრამ არ ეძებენ მათ გამომწვევ მიზეზებს. საჭიროა ხელახლა დაიდგმოს ვიშუაობა. ერთმანეთს ნდობითა და პატივისცემით ვეპყრობოდეთ, მაშინ ჩვენი მოღვაწეობის სასურველი შედეგაც მოჰყვება.

ზუგდიდის თეატრის დირექტორი ალ. ეგუტია ვრცლად შეჩერდა პერიფერიების თეატრების ახლანდელ მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ გასულითი სპექტაკლების სიხშირე და საგასტროლო კლუბების მოუწყობლობა აჩინებს სპექტაკლის ხარისხს. საჭიროა კულტურის სამინისტროსა და თეატრალური საზოგადოების ქმედითი დახმარება პერიფერიის თეატრებისადმი. შემდეგ აშხ. ა. ეგუტია შეჩერდა დედაქალაქის თეატრებში პროექციების გამოყენების პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ ეს პრაქტიკა საკმაოდ მყარად იკიდებს ფეხს პერიფერიის თეატრებშიც, რაც, მისი აზრით, დაუყენებელი უნდა აღიკვეთოს.

თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძემ ხაზი გაუსვა რა პლენუმის მნიშვნელობას ქართული თეატრის საჭირობოტო საკითხების საფუძვლიან განხილვის საქმეში, მისი სარეპერტუარო პოლიტიკის მდგომარეობის გარკვევის საქმეში, აღნიშნა, რომ გარდა პლენუმის წევრებისა და რამდენიმე მოწვეული ამხანაგისა, პლენუმს არ ესწრებიან დედაქალაქის თეატრების წამყვანი ძალები. შემდეგ აშხ. ვ. კიკნაძემ ვრცლად ილაპარაკა თანამედროვე დრამატურგიის დონეზე:

თეატრები მოწყურებულნი ეძებენ მაღალ-მხატვრულ და მაღალიდურ პიესებს, რომელშიაც სრულყოფილად იქნება ასახული ჩვენი ხალხის მჩქეფარე ცხოვრება, კომუნისმისათვის მებრძოლი ქართველი საბჭოთა ადამიანების ცოცხალი სახეები. და თუ ჩვენს თეატრებში ჯერ კიდევ გვხვდება სუსტი პიესები, ამასში ბრალი ჩვენს მწერლობასაც მიუძღვის,

მთავარი საკითხი ჩვენი დღევანდელი პლენ-



ნუმისა, — ამბობს თავის სიტყვაში ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე გ. ბუხნიკაშვილი, — არის თუ როგორ უპასუხეს ჩვენმა თეატრებმა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ დადგენილებებს. როგორც მოხსენებიდან სჩანს, გარკვეული შემოქმედებითი მუშაობა ჩატარებულა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც თუ ნაყოფიანების ვარაუდი. ეს კი იმიტომ იყო გამოყვეული, რომ არ იყო მიხილრო კავშირი თეატრსა და დრამატურგიას შორის. ყველასათვის ნათელია, რომ მსოფლიოში საუკეთესო პიესები შექმნილია სწორედ თეატრისა და დრამატურგიის მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობით. გ. ბუხნიკაშვილი მოითხოვს, რომ თეატრებს მიეცეთ უფლება თვითონვე შეიძინონ პიესები.

ვალ. საჩანელი (სამხრეთ-ოსეთის) თეატრის მსახიობი საყვედურობს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებას ცხინვალის თეატრისადმი უყურადღებობისათვის, რის შედეგად ძალიან სუსტად გამოიყურება თეატრის ქართული კოლექტივი. თავისი არსებობის 12 წლის მანძილზე თეატრს არა ჰყოლია ხეივანი რეჟისორი. თუ არ მივიღებთ მხედველობაში პავლე ფრანგიშვილს, რომელმაც უბნაობის გამო დატოვა ცხინვალი, ხოლო ლევან შატბერაშვილი, კულტურის სამინისტრომ უკან წამოიყვანა.

თეატრი არ არის დაკომპლექტებული კვალიფიცირებული შემოქმედებითი კადრებით. ორატორი სთხოვს კულტურის სამინისტროსა და თეატრალურ საზოგადოებას რეალური დახმარება გაუწვიონ ცხინვალის თეატრს.

საზოგადოების სამეცნიერო-შემოქმედებითი განყოფილების გამგე თეატრმკოდნენინო შვანგირაძე პლენუმის ყურადღებას ამახვილებს პერიფერიის სამი თეატრის მდგომარეობაზე: ცხინვალის თეატრის ქართულ დასზე, ფოთისა და ზუგდიდის თეატრზე და აღნიშნავს, რომ ძალიან ნაკლებია მათდამი ყურადღება როგორც კულტურის სამინისტროს, ისე თეატრალური საზოგადოების მხრივ. თეატრები არაიან დაკომპლექტებული სათანადო კვალიფიციური რეჟისორული კადრებით, ცხინვალის თეატრის მთავარი რეჟისორი ამხ. ს. ახლაძე უფრო მსახიობია, ვიდრე რეჟისორი და მისი შემოქმედებითი ავტორიტეტი არ არის ისეთი, რომ

ასწიოს ეს თეატრი. შემდეგ ამხ. შვანგირაძე აყენებს საკითხს, რათა გამოცდილი რეჟისორები უფრო კმედიად, ნაყოფიერად და ხანგრძლივად ეხმარებოდნენ პერიფერიის თეატრებს. ორატორი სვამს საკითხს, ცხინვალის თეატრის ქართული დასის გასაძლიერებლად გაიგზავნოს თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფი მოლიანად. დასასრულს ამხ. შვანგირაძე აღნიშნავს, რომ ზუგდიდისა და ფოთის თეატრებს არ გამოეყოთ აუცილებელი საშუალო ერთეულები. ზუგდიდის თეატრს არ ყავს დირექტორის მოადგილე, ადმინისტრატორი, სადადგმო ნაწილის გამგე, ბუტაფორი, მხატვარი შემსრულებელი, დეკორატორი და სხვა. რომელთა მოვალეობას დრო და დრო ხშირად თვით თეატრის დირექტორი ამხ. ა. ვაგუთა ასრულებს.

ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის, — თქვა თავის სიტყვაში რეჟისორმა მიხეილ გიფიძემ ყრელმა, — პროფესიონალურ მალამხატვრული სპექტაკლებს მიღებისათვის საჭიროა ურთიერთ-თანამშრომლობა, ურთიერთ დახმარება და განსაკუთრებით ყოველმხრივი ხელისშეწყობა პერიფერიების თეატრებისათვის. პერიფერიის თეატრებში ჩვენ გვყავს შესანიშნავი შემოქმედებითი ძალები, რომლებიც თავდადებულად ემსახურებიან მშობლიურ კულტურას. საჭიროა უფრო კმედიად, საქმიანად დავეხმაროთ მათ. სათანადოდ დავაფასოთ მათი ღვაწლი, წავახალისოთ ისინი. ამ მიზნით საჭიროდ მიმაჩნია მოწვეულ იქნას თეატრალური საზოგადოების სპეციალური პლენუმი, რომელზედაც განხილული იქნება პერიფერიის თეატრების საქმიანობა. დასასრულს ორატორი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩვენს სახელგანთქმულ მსახიობებს უფრო ხშირად სხდომათა პრეზიდენტებში ვხედავთ ვიდრე სცენაზე.

დღეს ვიხილავთ ჩვენი ევენისათვის, ჩვენი ხალხისათვის მეტად დიდსა და მნიშვნელოვან საკითხს, — ამბობს ბესარიონ ჟღენტვი, — ემსჯელობთ იმის შესახებ თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს თეატრალური ხელოვნება ხალხის გონებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური აღზრდის იმ დიად ამოცანებს, რომელიც ჩამოყალიბებულია ჩვენი პარტიის ახალ პროგრამაში.

გარდა იმ საერთო ამოცანებისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის, ჩვენი დროის წინაშე დგას, ქართულ თეატრს, მწერლობას, თავისი



სპეციფიკური დიდი ამოცანები აქვს, რო-
ლებსაც ჩვენ პასუხი უნდა ვაგვეთ, რომლებ-
ზედაც — პასუხი უნდა ვაგვით არა მარტო
დღეს მაყურებლის წინაშე, არამედ ისტო-
რიის, ხელოვნდელი დღის წინაშეც, ჩვენი
ხალხის მომავლის წინაშე.

დღეს ჩვენში ყოველგვარი პირობაა იმისა-
თვის, რომ განუხრედალად წინ ვწვედეთ და
ვამაღლებდეთ ჩვენს თეატრალურ ხელოვნე-
ბას, მაგრამ მაქსიმალურად ვერ ვიყენებთ ამ
პირობებს. ჩვენი მოღვაწეობა სერიოზული
ნაკლოვანებებით ხასიათდება და მე ვამბობ: —
ჩვენ არა გვაქვს კარგი მდგომარეობა თეატ-
რებში. რატომ? შეიძლება ბევრი მაგალი-
თის მოტანა. როგორ შევხვდით 40 წლისთვის?
განა ეს სპექტაკლები ღირსი იყო საქართვე-
ლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების
40 წლისთავის აღმნიშვნელი თარიღისა?!

ყველასათვის ნათელია, რით შეხვდნენ ჩვენი
თეატრები XXII ყროლობას. მე მიმაჩნია და
ვიმეორებ, რომ ამის უმთავრესი მიზეზი ის
არის, რომ თეატრი და მწერლობა დაშორდა
ერთმანეთს, არავითარი შემოქმედებითი კონ-
ტაქტი არ არსებობს ჩვენს შორის. კ. მარჯა-
ნიშვილი უდიდესი მეგობარი იყო ქართველი
მწერლობისა. მის გენერალური რეპეტიცი-
ა ვერ წარმოედგინა მწერლების გარეშე: ქარ-
თული მწერლობა მაშინ მხარში ედგა თეატრს,
დღეს ქართველ მწერალს თეატრში იშვიათად
ნახავთ. მაყურებლადიც კი. რატომ დაიპარვა
ეს შეგანინაწივე ტრადიცია. დამნაშავეა თე-
ატრიც და მწერლებიც, სარეპერტუარო პო-
ლიტიკის სფეროში, — აღნიშნავს ბ. ქლენტი, —
გამოვედგენთ როდენობას და არა ხარისხს.

სსრკ სახალხო არტისტმა ვერიკო ან-
ჯაფარიძემ ღრმად გაანალიზა ჩვენი თეა-
ტრების დღევანდელი მდგომარეობა, ვრცლად
შეეხო თეატრში არსებული ნაკლოვანებათა
მიზეზებს და აღნიშნა, რომ საჭიროა თეატ-
რისადმი საზოგადოებრიობის მხარდაჭერა,
დანიტრერება, განსაკუთრებით მწერლობის
სიახლოვე; მათ მიერ თეატრის უფრო ღრმა
შესწავლა. განა მხოლოდ თეატრია დამნა-
შავე, რომ უწინდებურად არ არის ერთობ-
ლივი მიზანსწრაფვა, საუკეთესო სცენურ
ნაწარმოებთა შექმნისათვის? თეატრის კარი
და ჩვენ გული მწერლებისათვის ყოველთვის
ღია იყო, არის და იქნება, მხოლოდ თვით
მწერლებს მართებთ უფრო მეტი დანიტრე-
რება თეატრით, დრამატურგიით.

შემდეგ ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა
რომ ახალგაზრდა მსახიობთა დიდი ნაწილი
გადატვირთულია თეატრის გარესამუშაოე-
ბით — რადიო და ტელევიზიით, სასპორტო სა-
ნახაობათა ტრანსლიაციითა და კინო გახმო-
ვანებით, რაც უდავოდ უარყოფითად მოქმე-
დობს მათს შემოქმედებაზე. მე მეტად საყუ-
რდელი და დამაფრთხილებელი მოვლენაა.

დღეს, როდესაც ქართულ თეატრს მეტად
სერიოზულ ეტაპზე უხდება მუშაობა, — განაც-
ხადა საქართველოს სსრ კულტურის მინის-
ტრის პირველმა მოადგილემ აკაკი დვა-
ლიშვილმა, ის მოითხოვს უფრო კონკრე-
ტულ, ოპერატორულ, შემოქმედებით დახმარე-
ბას. ის, ვინც კარგად იცნობს ქართულ თეა-
ტრის დღევანდელ მდგომარეობას — ეს იქნება
დედაქალაქში, თუ რაიონში — მის არ შეუძ-
ლია გულდამწვინდებით შეხედეს ამ მდგომა-
რეობას, აქტიურად არ ჩაებას თეატრის შე-
მოქმედებით ცხოვრებაში და არ გააკეთოს
ყოველივე ის, რაც მასზეა დამოკიდებული,
თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმი
იქნება ეს თუ კულტურის სამინისტრო. მი-
თუმეტეს, რომ ჩვენი თეატრების კოლექტივ-
ში მეტად გმირულ და მართლაც პატრი-
ოტულ საქმიანობას ეწევიან, აქ იყო ლაბა-
რაკი ფოთის, ზუგდიდის, ცხინვალის თეატ-
რებზე, მხოლოდ ის ფაქტი რომ მუსიკალურ
კომედიის თეატრ 4 წელია საკუთარი
შენობის გარეშე არსებობს, სრულიად საკმა-
რისი არგუმენტი. შემდეგ ამხ. დვალისვილი
ეკამათება იმ ორატორებს, რომლებიც ჩვენი
თეატრებისა და მათი რეპერტუარის ნაკლო-
ვანებებისათვის ბრალს სდებენ მხოლოდ თე-
ატრებს: თეატრებისა და მწერლების შემო-
ქმედებითი კონტაქტის გაძლიერებას დიდი
მნიშვნელობა აქვს და ჩვენ უნდა ვიზრუნოთ
იმისათვის, რომ თეატრების გარეშე ცხო-
ველი შემოქმედებითი ატმოსფერო შევქმნათ.
პლენუმზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე
რეჟისორი ოთარ ალექსიშვილი (ქუ-
თაისი), თეატრმეოდენ შალვა მაჭავა-
რიანი და დრამატურგი სიმონ მთვა-
რაძე.

მომსენებლის მიხ. მრევლისვილის საბო-
ლო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რე-
ზოლუცია.

დასასრულს განხილულ იქნა ორგანიზაცი-
ული საკითხი. პლენუმმა საზოგადოების თა-
ვმჯდომარის მოადგილედ და პრეზიდიუმის
წევრად აირჩია გაიოზ იაქაშვილი.

საქართველოს ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით 1962 წლიდან აღდგენილი იქნა „ქართული თეატრის დღე“.

ეს დღე, 14 იანვარი (ძველი სტილით 2 იანვარი) აღინიშნა მთელ რიგ თეატრებში სახეიმა წარმოდგენების გამართვით, რომელთაც წინ უძღოდა ხელოვნების მოწინავე მუსიკათა მოხსენებები ამ დღის მნიშვნელობის შესახებ. რუსთაველის სახელობის თეატრმა 14-21 იანვარს ჩაატარა კვირეული. პრესამ ფართოდ აღნიშნა ქართული თეატრის აღდგენის საწარმო.

შეიძლება მიმდინარე წელს დღესასწაული ვერ ჩატარდა სასურველი მასშტაბით, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ შემდეგ წლებში დღესასწაულს ფართო ხასიათი მიეცემა და ჩვენი კულტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად გადაიქცევა.

ორი იანვრის დღესასწაულს საინტერესო ისტორია აქვს. პირველი დღესასწაული მოეწყო 1884 წელს იმის აღსანიშნავად, რომ 1850 წლის 2 იანვარს „პირველად გაიმართა თბილისში ქართული წარმოდგენა ჩვენი ქვეყნისათვის დაღუეფყვარი გიორგი ერისთავის მეთაურობით“ (ვაზ. „დროება“ 1884 წლ. 1 იანვ.). ამრიგად, 1850 წლის 2 იანვარი გამოცხადებული იქნა ქართული თეატრის დაფუძნების დღე.

რევოლუციამდელ 2 იანვარს თეატრები მართავდნენ სახეიმა წარმოდგენებს. აცნობდნენ მაყურებელს ქართული თეატრის აღმდგენლის გიორგი ერისთავის ბიოგრაფიას, დგამდნენ გიორგი ერისთავის და ზურაბ ანტონოვის კომედიებს, აგრეთვე თანამედროვე შინაარსის დრამატულ ნაწარმოებებს.

ცნობილია, რომ საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში ჩვენი თეატრი კრიზისის ვანცდიდა. თბილისში მუდმივი დასი არ არსებობდა. ამ პერიოდში ორ იანვარს „მსახიობის დღე“ შეერქვა და ქართველი მსახიობები ამ დღეს იბრძოდნენ ფიზიკური არსებობისათვის, ლუკმაპურისათვის.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ყველა პირობა შეიქმნა ქართული თეატრის ნამდვილი შემოქმედებითი აღმავლობისათვის. ცნობილია ქართული

თეატრის რეფორმატორისა და საბჭოთა თეატრის ფუძემდებლის კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „ცხვრის წყარო“ 1922 წლის 25 ნოემბერს, რომელიც საბჭოთა ქართული თეატრის დასაწყისად ჩითვალა. კ. მარჯანიშვილმა თავისი მეორე დადგმა „შხის დაბნელება საქართველოში“ მაყურებელს უჩვენა 1923 წლის 2 იანვარს და ამ წარმოდგენას ქართული თეატრის დღესასწაულის ხასიათი მისცა. ამავე წლის 19 დეკემბერს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭომ დადგენილება გამოიტანა „ორი იანვრის“ ქართული თეატრის დღესასწაულად გამოცხადების შესახებ.

1924 წლის 2 იანვარი რუსთაველის თეატრმა აღნიშნა კოტე მარჯანიშვილის ახალი დადგმით, მოლიერის „გაახანაურებული ჰდაბიო“. ამ თარიღისათვის გამოვიდა ერთდროული ჟურნალი „სახიობა“. მასში მოთავსებული იყო ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ცნობილ მოღვაწეთა სტატიები და მოვლენები.

ზემოთ აღინიშნა ორი იანვარი 1925 და 1926 წლებშიც, ამ უკანასკნელ წელს დღესასწაულს ჩასატარებლად ხელოვნების მუსიკათა პროფკავშირის გამგებამ სპეციალური კომისიაც კი გამოჰყო. კომისიაში შედიოდნენ სანდრო ეული, იოსებ გმდევა-ნიშვილი, აკაკი ფალავა, აკაკი ვასაძე. რუსთაველის თეატრმა ამ დღეს წარმოადგინა „ჰამლეტი“ კოტე მარჯანიშვილის და აღექსა ანდრე იხმეტე-ლის დადგმით.

დღესასწაული მოეწყო ქუთაისში, ბათუმში, ფოთში. განსაკუთრებით საინტერესო იყო ქუთაისში გამართული ორი იანვრის დღე. დილის თერთმეტ საათიდან ქუთაისის თეატრის დასი შეიკრიბა თეატრის წინ და ზურნის დაკვრით ავტომატობით შემოუარა მთელ ქალაქს. გზა და გზა ავრცელებდნენ დაბეჭდილ ლოზუნგებს. ლოზუნგები შემდეგი შინაარსის იყო: „გაუმარჯოს ქართული თეატრის 76 წლისთავს!“, „გაუმარჯოს ქართველ მსახიობთა დღეს 2—იანვარს!“, „გაუმარჯოს თავისუფალ ხელოვნებას საბჭოთა საქართველოში!“, „გაუმარჯოს გასაგები ფორმის ქართულ ხალხურ თეატრს!“, „გაუ-

მარჯოს ქართული თეატრის ცოცხალ ემბ-
ლემას, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვა-
სო აბაშიძეს, „დიდება და სახელი ქა-
რთული თეატრის გენიას—ლადო მესხიშ-
ვილი“ და სხ. საღამოს თეატრში გაიმარ-
თა საზეიმო წარმოდგენა. კინოთეატრში უჩ-
ვენეს ახალი ქართული ფილმები.

დღესასწაულთან დაკავშირებით გამოვიდა
ეურნალ „ხელოვნების“ საგანგებო ნომერი.

1927 წლის ორი იანვარი თბილისში
იღრესასწაულა მხოლოდ ოპერისა და ბა-
ლეტის თეატრმა, და არსებითად ეს იყო
უკანასკნელი აღნიშვნა ამ დღისა. დღესას-
წაული დავიწყებას მიეცა.

ამჟამად კი ეს დღესასწაული აღდგენილი
იქნა და ყოველწლიურად გაიმართება.

ამ საინტერესო თარიღს აღნიშნავენ ყვე-
ლა ჩვენი სანახაობითი დაწესებულებები, მათ
შორის სახალხო თეატრებიც. ამ დღეს მო-
ვიგონებთ სახელოვან წინაპართ, რომლებმაც
დიდი ამაგი დასდეს ქართულ სცენას, პირ-
ველ ყოვლისა, ქართული თეატრის აღმდგე-
ნელს გიორგი ერისთავს. მოგონება იმდენად
არის საჭირო, რამდენადაც თეატრალური
ხელოვნების განვითარებაში დიდი მნიშვნე-
ლობა აქვს ტრადიციას, წარსულის გამოცდი-
ლების გაცნობას და გაღრმავებას, ამ საზეიმო
დღეს უნდა მოვაწყოთ ჩვენი თეატრის მილ-
წიგნების ჩვენებაც, გავაძლიეროთ ქართული
თეატრის კავშირი ცხოვრებასთან, ვაქციოთ
იგი ახალი აღმზინების აღზრდის მაღალ
ტრიბუნად.



მკატერინე სატინას იუვილი

ყველასათვის ცნობილია რუსული და ქართული თეატრების ურთიერთ კავშირი და მათი შემოქმედებითი დამოკიდებულება.

საქართველოში 1845 წელს საფუძველი ჩაეყარა რუსულ თეატრს. თბილისის რუსულ თეატრში ისეთი გამოჩენილი სცენის ოსტატები მოღვაწეობდნენ, როგორც იყვნენ: ო. პრავდინი, მუხილი, ა. იაბლოჩკინა, ა. ლენსკი და ბეგრი სხვა. აგრეთვე ზნორად ვასტროლეტზე ჩამოდიოდნენ მცირე თეატრის, ალექსანდრეს სახელობის და სამხატვრო თეატრების კორიფეები, რომლებიც თავის კულტურით და შემოქმედებით დიდ სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებდნენ ქართველ მაყურებელში. საქართველოში მეორე სამშობლო ჰქონდა ბეგრმა მათვანმა.

მცირე თეატრის გამოჩენილი მსახიობი ვილდე წერდა: „თბილისი ისეთივე ახლოა და საყვარელი ჩვენთვის, როგორც ჩემი მოსკოვი“. თბილისის რუსულ დასებს ახსოვთ სცენის ისეთი დიდი ოსტატები, როგორც იყვნენ: ლ. იავორსკაია, ი. პევეკოვი, ს. კუზნეცოვი, ბარათოვი, ე. თიხარევა, მურომცევი, პასხალოვა და სხვ.

ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობი რეს. სახ. არტისტი ეკატერინე ალექსანდრეს ასული სატინასათვის საქართველო მართლაც მეორე სამშობლოდ იქცა.

ექ. სატინა ეკუთვნის იმ ბედნიერ შემოქმედთა რიცხვს, რომლებმაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში თავის ცხოვრების მიზნად გაიხადა და აიჩინა ხალხის სამსახური.

ექ. სატინა დაიბადა კიევი ცნობილ ქირურგის ალ. იაცენკოს ოჯახში. ბავშობიდან გატაცებით კითხულობდა პუშკინს, თვითონ გაითამაშებდა ხოლმე პატარა სცენებს და თავის ახლობლებს და ნაცნობებს აჯავრებდა, ბაძავდა, იგი განსაკუთრებული იმიტაციურული ნიჭით იყო დაჯილდოებული.

თავის მეშუარეობაში სატინა ანალოგიურ თებს განვილილ დამაბულ მუშაობას, დამაჯერებლად გვიხატავს მსახიობის როტულ და მეტად დამაბულ მუშაობას და როდესაც კითხულობ მის მოგონებას, გახსენდებათ გამოჩენილი მსახიობის ი. იურიევის სიტყვები: „როგორი მაცდუნებელი ჰგონიათ შორიდან მსახიობის ცხოვრება და არავენ კი არ იცის რამდენჯერ სასოწარკვეთილებამდე და მეტყუობამდე მისულხარ, რამდენი შრომა, სიბეჯითე, მოთმინება, ენერჯია არის საჭირო, ათასი დაბრკოლებების გადალახვა საჭირო სრულიად უმნიშვნელო კმაყოფილებისათვის“.

ექ. სატინა კიევის ქალთა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ახლოვლების სასტიკი წინააღმდეგობას მიუხედავად, ცნობილ თეატრალურ მოღვაწის ალ. ელიაბუჯკის რჩევით 1910 წ. პეტერბურგს გაემგზავრა და თეატრალურ სკოლაში მოეწყო, რომელსაც განაგებდა ალექსანდრეს სახელობის თეატრის მსახიობი და გამოჩენილი პედაგოგი ან. პეტროვსკი.

სკოლაში მეცადინეობა, ალექსანდრეს სახელობის თეატრის კორიფეების შემოქმედება, საზღვარგარეთელი მსახიობების გასტროლები, მუხუშუშები, გამოყენები—ყოველივე ამან დიდი როლი ითამაშა სატინას ფორირებაში, რათა ის გამზდარიყო სცენის ღირსეული მსახური. ახსოვდა შეპკინის ბრძნული სიტყვები: „თეატრი არ არის გასართობი დაწესებულება, არამედ დიდი სერიოზული საქმე“...

პეტროვსკის სკოლის დასრულების შემდეგ (1913 წ.) სატინამ მაშინვე მიიქცა ყურადღება სცენური ვარგნობით, ტემპერამენტით, საინაომონო ხმის ტემბრით, სატინას გზა გაეხსნა, იყო ნიჭი-ნოვოგოროდში, ვილნოში, ბობრუსკში.

1915 წელს სატინას იწვევენ თბილისში არტისტულ საზოგადოებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოცდილი და ნიჭიერი რეჟისორი ალექსანდრე ტუგანოვი.

მისი პირველი სადებიუტო როლი იყო მირტოვის პიესაში „პატარა ქალი“, რომელიც დადგა ცნობილმა რეჟისორმა ალ. წუწუნავამ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სატინა მონაწილეობს ა. ლუნჩარსკის პიესა „მეფის დალაქში“.

1924—1930 წ. წ. მუშაობს მოსკოვში, მაჩაქალაში, გროზნოში, ერევანში. 1930 წლი-

დან კვლავ თბილისშია და მუშაობს წითელი არმიის თეატრში რეჟისორ ლიუბოვის ხელმძღვანელობით.

1932 წლიდან ეკატერინა სატინა მოღვაწეობს რუსულ დრამატულ სახელმწიფო თეატრში, აქ პირველად შეხვდა დიდ რეჟისორ კოტე მარჯანიშვილს, რომლის რეჟისორობით მ. გორკის პიესა „ნაძირალეში“ შესრულა ვასილისას როლი, ამჟამად იყო მისი ასისტენტი.

1934 წელს თბილისის დრამატულ თეატრს ეწოდა ალ. გრიბოედოვის სახელი. ამ თეატრის სცენაზე მიეცა დიდი გასაქანი სატინას შემოქმედებას. მან მრავალი პასუხისმგებელი როლი შესრულა.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში სატინას შესრულებული აქვს 300 როლი.

სატინა ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც მხატვრულ კითხვაში, ბევრი გამოჩენილი სცენის ოსტატი მისი ნამოწაფარია.

ა/წ. 29 იანვარს გრიბოედოვის სახელობის თეატრში გაიმართა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ეკატერინე სატინას იუბილე. დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი, საზეიმო სხდომა გახსნა საბჭოთა კავშირის სახალ-

ხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ, რომელმაც მოკლე მიმოხილვა გაუკეთა სცენაზე სატინას 50-წლის მოღვაწეობას. მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა დოცენტ ნ. შალუტაშვილს, იგი ვრცლად შეეხო სატინას შემოქმედებასა და მოღვაწეობას, შემდეგ იუბილარს მიულოცეს კულტურის სამინისტროს სახელით თ. ჯანელიძემ, საქ. თეატრალური საზოგადოების სახელით დ. ჩხეიძემ, თბილისის საბჭოს სახელით კულტურის განყოფილების გამგე ქ. ოტიაშვილმა, ჯარის ნაწილების, სავაჭრო სამინისტროსა და სხვა წარმომადგენლებმა.

იუბილარის მონაწილეობით გათამაშებული იყო სცენები სხვადასხვა პიესებიდან. მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობასღებულობდა გრიბოედოვის თეატრის კოლექტივი. აგრეთვე რესპ. სახალხო არტისტები: თამარ ჭავჭავაძე, ს. ჭორჯოლიანი, ვ. დავითაშვილი, ე. აფხაიძე, პ. კობახიძე, ნინო ზედგენიძე და სხვ.

მსახიობს შშობლიურმა კოლექტივმაც მიულოცა. ეკ. სატინამ მადლობა გადაუხადა პარტიის და მთავრობას, თეატრის მუშაკებს და თავის ამხანაგებს, გულითადი მიღებისათვის.

მოსკოვსა და ლენინგრადში

ჩეჩენოვების შთაბეჭდილებები

1961 წლის დეკემბრის თვეში შესაძლებლობა მომეცა ვყოფილიყავი მოსკოვსა და ლენინგრადში. ჩემი შემოქმედებითი მივლინების მიზანი იყო სრულყოფილად გავცნობოდი მ. გორკის სახელობის ლენინგრადის დიდ სახელმწიფო დრამატიულ თეატრის მუშაობას, რომელსაც ხელმძღვანელობს შესანიშნავი რეჟისორი, ჩვენი თანამემამულე, ლენინისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეანტი სსრკ სახალხო არტისტი. გ. ა. ტოვსტრონოვოვი.

გზად საშუალება მომეცა შენახა სპექტაკლები მოსკოვსა და ლენინგრადის სხვა თეატრებშიც.

უნდა ვილაპარაკო, რა თქმა უნდა, ამ პატარა წერილში არ შემიძლია დაწვრილებით გადმოგცეთ, ყოველივე ის რაც ვნახე მოსკოვსა და ლენინგრადში ყოფნის დროს, მითუმეტეს, შეუძლებელია გავარჩიო ჩემს მიერ ნახები ყველა 17 სპექტაკლი.

ამგვარად, მოსკოვზე... ყველაზე დიდ მოვლენად მოსკოვის თეატრალური ცხოვრებაში დეკემბრის თვეში წარმოადგენს ორი სპექტაკლი— ევრიბიდეის „მედია“ ვ. მაიაკოვსკის სახ. თეატრში და „მეოთხე“ თეატრ „სოვრემენიკში“.

სხვათა შორის, უნდა აღვნიშნო, რომ თეატრალური მოსკოვის ყურადღება გადატანილია მაიაკოვსკის მოედანზე. თეატრ „სოვრემენიკში“ სპექტაკლებზე ბილეთის ღირებულება სრულად შეუძლებელია.

ჩვედი რა მოსკოვში, პირველ რიგში:

რა თქმა უნდა, მივაშურე ცენტრალურ საბავშვო თეატრს, სადაც ვნახე სპექტაკლი „რამიანა“.

ეს სპექტაკლი მეტად საინტერესოა გადაწყვეტილი, კარგად არის გადმოცემული ინდოეთის ეპოსი.

დიდი დახმარება სპექტაკლის შექმნაში აღმოუჩინა თეატრს ინდოეთის ელჩის მეუღლემ, ქალბატონმა მენონმა. იგი იყო კონსულტანტი ინდური ტანსაცმელებისა და ინდოეთის ყოფა-ცხოვრების საკითხებში,

დადგმა მუსიკალური და პლასტიკურია. მაყურებელი კარგად იღებს სპექტაკლს. სპექტაკლში ჩაქსოვილია მეგობრობა და ძმობის იდეა.

სპექტაკლში ყოველი სურათის წინ მიდის პანტომიმური სცენა, რომელშიც მონაწილეობენ პოეტი და ნიღბები.

მსახიობები მუშაობენ დიდი პასუხისმგებლობით, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო შესრულება: ი. დ. ვორონოვი (მეფე რაინი), ტ. მ. პიჩნიკოვი (რამა), მ. გ. კუპრიანოვა (სიტა), მ. გ. ანდროსოვი (ხანუმან).

„მოსოვეტის“ თეატრში ვნახე სპექტაკლი ტენისის უილიამოს „ორფეი ეშვება ჯოჯოხეთში“. დადგმა ხელოვნ. დასს. მოლგაწის ი. ს. ანისიმოვა-გულფის და სახალხო არტისტი ვ. მარცეკაია მთავარ როლში.

სპექტაკლი ძალიან მდიდრულად და საინტერესოდ არის გაფორმებული ა. პ. ვასილიევის მიერ, იგი ითვლება ერთ-ერთ საუკეთესო და პოპულარულ მხატვრულ მოსკოვში.

შემდეგი სპექტაკლი, რომელიც მე ვნახე მოსკოვში არის „მედია“ ვ. მაიაკოვსკის სახ. თეატრში, დადგმა სსრკ სახალხო არტისტის ნ. პ. ოხლოპკოვის. სპექტაკლი მიდის პ. ჩიკოვსკის სახ. საკონცერტო დარბაზში. სპექტაკლის გაფორმება ძალზე თავისებურია: დარბაზის მთელი პარტერი შევსებულია



ორკესტრით, სცენის სიღრმეში აღმართულია ძველი ბერძნული ტაძარი.

სპექტაკლი იწყება ს. ი. ტანევის „ორესტია“-ს გრადიოზული შესავლით. სპექტაკლში მონაწილეობას იღებს 400 კაცი, მათ შორის ქორო, რომელიც მღერის, ქორო ქალების, რომლებიც თითქმის ბოლომდე არიან სცენაზე.

სპექტაკლი მიდის დიდი ტემპარამენტით, ეს ტემპარამენტი დამახასიათებელია არა მარტო მთავარი როლების შემსრულებელთათვის, რომლებიც მხოლოდ 8 მსახიობია; არამედ ყოველი მონაწილესათვის. აღსანიშნავია არაჩვეულებრივი მოძრაობის პლასტიკა თითოეული მსახიობისა, განსაკუთრებული სიზუსტით შესრულებული ბერძნული კოსტუმები, ზედმიწევნით ლაკონური გაფორმება, რომელიც ბრწყინვალედ გადმოსცემს საბერძნეთს.

მედეას როლს ასრულებს რსფსრ-ის დამსახურებული არტისტი ე. ნ. კოზიროვა და რსფსრ-ის დამსახურებული არტისტი ვ. ვ. გერდრიხი, კრონს-რსფსრ-ის სახალხო არტისტი და უზბეკეთის დამსახ. არტისტი ა. ა. ხანოვი, ჩაზონს-რსფსრის სახალხო არტისტი სამოილოვი და არტისტები ა. ს. ლაზაროვი და ე. ნ. ლაზაროვი.

მოსკოვში სპექტაკლისადმი დამოკიდებულმა სხვადასხვაინარია. ერთნი სპექტაკლს იღებენ მთლიანად, მეორენი, ცოტაოდენი შენიშვნებით, მესამენი სრულიად არ იღებენ. მე ვეკუთვნი პირველს.

ქორო კორინთელ გოგონებისა, რომელთა შესახებ მე უკვე ვთქვი, თითქმის მუდმივად მოთავსებულია სცენაზე. ისინი მოქმედებენ უსიტყვოდ. ქმნიან ხან ერთ, ხან მეორე ფრესკას: იღებენ მდგომარეობას, რომელიც ხაზს უსვამს შინაარსს.

მეტად საინტერესოდ არის ჩაფიქრებული კიდევ ერთი მომენტი სპექტაკლისა. მედეას მიჰყავს დიალოგი ან მონოლოგი, მას ამ პერიოდში ეცვლება მსახიობი ან აზრი. ამ დროს ორკესტრის ენერგიული ბგერების თანხლებით გამოჩნდება ორი მოახლე, შავ ტანსაცმელში და ნიღბებით, ხან ერთი, ხან მეორე ფარავს მედეას ტანს ნიღბებით, რომლითაც გამოხატავენ გარკვეულ მდგომარეობას, იცვლება მედეას განწყობილება, იცვლება ნიღაბები.

ერთ-ერთი ძლიერ მომენტად სპექტაკლისა მიმაჩნია ფინალი,—მედეა ხოცავს თავის შვილებს კულისებს მიღმა. იგი გამოვიდა ტა-

ძრიდან, ნელა მიიბიჯებს სცენაზე, ხელთ აქვს გასისხლიანებული დანა, რომელიც სტოვებს სისხლიან ვაზლს.

სპექტაკლის ბოლო სრულიად არაჩვეულებრივია. უკვე სპექტაკლის დასაწყისში ავანსცენაზე დევს დახვეული ტიული. გოგონები მიდიან ტიულთან, სრულიად ერთნაირი მოძრაობით, იღებენ და მიაქვთ თან ტიული და მიემართებიან ტაძრისკენ, ე. ი. სცენის შუაგულისაკენ, და შესანიშნავი სანახაობაა, სულ უფრო და უფრო მაღლა, იქ სადაც მუხლებზე დაიკეშულა მედეა.

ყოველივე ეს სტოვებს დიდ შთაბეჭდილებებს. თქმა არ უნდა, რომ ეს ნამდვილი სპექტაკლი, და შესანიშნავი სანახაობაა.

ახლა ლენინგრადის შესახებ. ომამდე ლენინგრადში იყო სამი თეატრი, რომლებიც საზოგადოების ყურადღების ცენტრში ექცეოდნენ. დღესჯერ მაცურებელთა მიერ იყურადღება მიპყრობილია მ. გორკის სახ. დიდი დრამატული თეატრისა და კომედიის თეატრებისადმი.

კომედიის თეატრში მიდის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ მეტად საინტერესო პიესა რომ კილტის „მომხიბლავი მატყუარა“. ეს არის კომედია, დაწერილი წერილების ფორმაში. კომედიას საფუძვლად დაედო ხანგრძლივი მიწერ-მოწერა, რომელიც გრძელდებოდა 40 წლის მანძილზე ცნობილ ინგლისელ დრამატურგ ბერნარდ შოუსა და ცნობილ ინგლისელ მსახიობ ქალ პატრიკ კემპბელს შორის. სპექტაკლი დადგა რსფსრ-ის სახალხო არტისტმა ა. მ. რემიზოვამ, მხატვარი-სსრკ სახალხო არტისტი ნ. პ. აკიმოვი.

სცენაზე ორი მოქმედი პირია: პატრუკ კემპბელი-რსფსრ სახალხო არტ. ე. ვ. იუნგერი და ბერნარდ შოუ-რსფსრ და ტაჯიკეთის სსრ დამსახურებული არტისტი ლ. კ. კოლესოვი. სცენაზე არის ცალკე ადგილი შოუსათვის, ცალკე ადგილი კემპბელისათვის სახლის კიბე, რომელიც მიდის ზემოთ. ყველაფერი ეს წითელში და შავშია, უკანა სცენაზე ხან სჩანს პიესაზე, ხან ქალაქის შენობები.

მიუხედავად იმისა, რომ სცენაზე მხოლოდ ორი მოქმედი პირია, სპექტაკლი იმდენად საინტერესოა, რომ სურათიდან სურათამდე სრულიად დაძაბული ყურადღებით ხარ, გიღვიძებს სურვილს არაფერი არ გამოგეპაროს ამ არაჩვეულებრივი დიალოგიდან, განცვიფრებს სიმ ორი შესანიშნავი ადამიანის აზრების აღქმადმი.

შესანიშნავად არის გაკეთებული გმირის სიკვდილის სცენა. კემბელი, უკვე მოხუცებული ჩამოდის კიბეზე. შოუ კი ამ დროს კითხულობს ერთ ერთ წერილს, მაგრამ უცებ გარკვეული ფრანგის წაითხვისას კემბელი კვავდება. "შოუ სდგას წინა პლანზე, გაუწყდის მას ხელს და რჩება სრული შთაბეჭდილება თითქოს დრამატურგს ხელში უჭირავს ქალის შესანიშნავი ქანდაკება-მისი შედეგრი „პიგმალიონი“.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მე მივიღე მ. გორკის სახელობის თეატრით. მქონდა ორკვირეული საშვი, ვესწრებოდი რეპეტიციებზე. მე როგორც რეჟისორს, განსაკუთრებით მაინტერესებდა, თუ რა პირობებში მინდნარეობს თეატრში მუშაობა სპექტაკლზე. სარეპეტიციო დარბაზი მოთავსებულია ზემოთ სართულზე, პირდაპირ იატაკზე მოთავსებულია წრე, რგოლით, რომელიც წარმოადგენს ზუსტ გამეორებას სცენის წრისას და მოდის მოძრაობაში ელექტრო დენით. სპექტაკლის მთელ მოსაწადებელი პერიოდი სწარმოებს ამ დარბაზში. აქ შევიძლიათ ნახოთ თითქმის დამთავრებული სპექტაკლი, რომელსაც სცენაზე გადასვლისას სჭირდება მხოლოდ შემდეგი კომპონენტები: სინათლე, ხმაური, მუსიკა და ზუსტი დეკორაციული დანადგარი. საბოლოო ეტაპი სპექტაკლზე მუშაობისა სწარმოებს უკვე სცენაზე, მიმდინარება: მაყურებელთა დარბაზში გ. ა. ტოვსტონოვოვის წინ დგას პულტი, მიკროფონით ტოვსტონოვოვის ხმა ესმის მთელ თეატრს, გიორგი ალექსანდრეს ძეს შეუძლია ყოველ წამს მოითხოვოს რაც კი რაზე დასჭირდება, თეატრის ყველა მუშაკისაგან. ტოვსტონოვოვის გვერდით არის ელექტრო სააპერო, რომელიც თავის მხრივ არის უშუალოდ დაკავშირებული თავის თანამშრომლებთან მიკროფონით. აქვე არის აგრეთვე რადისტო თავისი მიკროფონით, რომელიც აწესრიგებს ჩარევას სპექტაკლის, თუ სპექტაკლი იწყება ფირზე. აქვეა რეჟისორი, რომელიც მუშაობს სპექტაკლზე, მხატვარი, სადაგმო ნაწილის გამვე, დარბაზის ბოლოს მოთავსებულია კინოსაპარატი აპარატი, რეგულაციით. მუშაობის დროს ატმოსფერო იყო შექმნილი, რომ ყველა ემორჩილება მთავარი რეჟისორის ნებას და სიტყვას. ასე მიმდინარეობს ამ თეატრში რეპერტურა, რომელსაც ატარებს ნამდვილი მხატვრული ხელმძღვანელი, ამ სიტყვის ფა-

რთე და მართალი გაგებით, გიორგი ალექსანდრეს ძე ტოვსტონოვოვი.

მე ვნახე ამ თეატრში ბევრი სპექტაკლი და არ შემიძლია არ გავიხსენო მ. გორკის ფრაზა: „ადამიანი—ეს სიტყვა ეღერს ამყად.“ ამ თეატრის სპექტაკლებში ყოველივე ემორჩილება გორკისეულ სტილს: აქ კეთდება, ყველაფერი რათა სრულყოფილად გაიხსნას ადამიანის მხატვრული იერსახე.

უპირველესყოვლისა მე მივინდა შეგჩერდეს. შტეინის პიესა „ოკეანე“-ზე. დადგმა თეატრის მთავარი რეჟისორის გ. ა. ტოვსტონოვოვის, რეჟისორი მ. ლ. რეხელი. სპექტაკლში განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ორი მოქმედება. ეს არის ს. ი. იურსკი ჩასოვნიკოვის როლში და კ. ი. ლავროვი პლატონოვის როლში. კ. ი. ლავროვი ისე უსმინდა და უყურებს, განსაკუთრებით, როდესაც ხმაშემალი ისმის ჩასოვნიკოვის აზრები, რომ შეუძლებელია დიფიწყო მისი თვალში.

სპექტაკლში კარგად არის გაკეთებული სცენა მაშას ბინაზე—მერვე კილომეტრზე. ეს სცენა გაკეთებულია ლაკონიურად ყოველგვარი ვულგარაზმისა და უხამსობის გარეშე. პიესა გაფორმებულია მეტად საინტერესოდ. მხატვრული ს. ს. მანდელი.

შემდეგი სპექტაკლი იყო კ. სიმონოვის „მეოთხე“. დადგმა რ. ს. აგამირზიანის. დადგმის მხატვრული ხელმძღვანელი კი ტოვსტონოვოვი. ამ თეატრში ყოველთვის ასეა. ან თვითონ სდგამს პიესას გ. ა. ტოვსტონოვოვი, მაგრამ ყავს სპექტაკლის რეჟისორი ან შეიძლება დგამს სხვა რეჟისორი, მაგრამ ტოვსტონოვოვი არის დადგმის მხატვრული ხელმძღვანელი.

სპექტაკლი „მეოთხე“ გაფეთებულია ძალიან საინტერესოდ, მასში არ არის გადასვლა ერთი სცენიდან მეორეში. ყოველივე სწარმოებს მაყურებლის თვალწინ. შემოგორდება თანმიყოლებით გვერდებიდან „ფურკება“ ან ცენტრისაკენ წრეში მოიწვევს დეკორაციის დანადგარი და გამუდმებით მოიხსნას ბურჟუასიანი ისფერი პოროზონტი.

სპექტაკლი „ოკეანე“ და „მეოთხე“ სრულიად არ გავს ერთმანეთს. ეს ხომ სხვადასხვა პიესაა, სხვადასხვა ავტორები, მაგრამ ამ თეატრში მათ აქვთ ერთი მთლიანი—დიდი, ლოგიკურად ზუსტი და საკაცობრიო სულხისა და ურთიერთგაგების თანმიმდევრულად გახსნის ძალა.




ოქიდან, რაც მე ვნახე ამ თეატრში, მინდა აგრეთვე გამოვეყო ნატან ღუგლასის და პაროლდ სმიტის „თავდაუხრენი“. დადგმა გ. ა. ტოვსტონოვოვის, რეჟისორი მ. ი. კორიგოცკი. პიესის მოკლე შინაარსი ასეთია: მანქანას, რომელსაც მიჰყავს კატროლა მისჯილი, ავარი უხდება. ავარიან დროს ორი ადამიანი, რომლებიც გადახლართულია ერთი ბორკილით, გარბიან. ეს არის თეატრკანიანი ჯექსონი (რსუსრ დამს. არტ. ე. ზ. კოპელიანი) და ზანგი—გალენი (მსახიობი პ. შ. ლუსპეკავეი) მათი გაქცევის აუცილებლობა თავიდანვე ცხადია. ჯექსონს სძაგს შავკანიანი, იმ ამერიკელის სიმულელით, რომელიც ასე-ბობს საუკუნეების მანძილზე. გალენს ასევე სძაგს იგი. პარადოქსი იმაშია, რომ ისინი იძულებულნი არიან გაიქცნენ ერთად. ერთად ყოფნის დროს, მათში თანთან იღვიძებს ყველაზე კარგი ადამიანური თვისებები. ისინი შეიგრძნობენ, რომ არც კანის ფერს და არც ადამიანთა სხვადასხვა წარმოშობას არ შეუძლია იქონიოს გავლენა ადამიანთა შორის ყველაზე მაღალ იდეალების გაგებაზე. ფინალი თავდება ასე: როდესაც მათ მღვდრები დაეწყვიან, თეთრი არ სტოვებს შავს მარტოდ, მიუხედავად იმისა, რომ ის მთავარი ბორკილი, რომელითაც ისინი იყვნენ დაკავშირებული, უკვე გაწყდა.

სპექტაკლში ძლიერად ჟღერს ბრძოლისა და თავისუფლებისაკენ მისწრაფება, სპექტაკლში არის კიდევ ერთი მეტად ძლიერი მომენტი. ღვევის დროს შავი და თეთრკანიანი გადადიან ვიწრო, არამყარ ხიდზე, რომელიც ერთი ადამიანისათვისაც სახიფათოა, არამეტოუ ორისათვის. გადასვლის დროს ერთი იმათგანი მოწყდება და გადაეცილება ძალიან დიდ სიმაღლეზე, მეორე, რომელიც რჩება, შველის მას და გადაარჩენს. ამ სცენას ასრულებენ არა მსახიობები არამედ ორი აქრობატორ, გიმრივას გრიმით. სპექტაკლის პროგრამაში ასევე არის შესული. აქრობატული ეტიუდი სცენა „გადასვლაში“ დადგმულია ა. ე. ობრანტის მიერ ეს სცენა საინტერესოდ და გამომხატველად არის გაკეთებული. როლების შემსრულებლები გალენისა და ჯექსონის (მსახ. პ. ბ. ლუსპეკავეი და დამს. არტ. ე. ზ. კოპელიანი) თამაშობენ მიუღეს შესაძლებლობით და მყურებელიც სერიოზულად ღელავს მათი ბედით. ძალიან საინტერესოა მსახიობი ვ. მ. შარკო ამ პიესაში ერთადერთი ქალის როლში.

მინდა განსაკუთრებით შევებო დიდი მატული თეატრის მსახიობს ტ. ვ. დორონინს, რომელიც ვნახე სპექტაკლ „იოკუტსკის ისტორიაში“ სპექტაკლ „ჩემი უფროსი“—ა. ვოლიდინისა. სპექტაკლის დადგმა გ. ა. ტოვსტონოვოვის, რეჟისორი რ. ა. სიროტა. პიესაში ვითარდება შემდეგი მოქმედება: ბიძი (თამაშობს სახელმწიფო პრემიის ლაურეატ რსფსრ დამს. არტ. ე. ა. ლებედევი) აიყვანს ბავშვთა სახლიდან ორ თავის ძმისშვილს—უფროს დასნადას (მსახიობი ტ. ვ. დორონინა) და უმცროს დას ლიდას (მსახ. ე. ე. ნემჩენკო). პიესაში არის ებზოლი, როდესაც ბიძისა აღედგება სურვილი გაათხოვოს უფროსი და, ამისათვის მოჰყავს თავის სახლში თავის თანამშრომელი. მოაქვს ამ შეხვედრისთვის პატეფონი, რომელიც მეჭანურ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ ნიადაგზე ნაღია აცხადებს პროტესტს მსახ. დორონინა ამას აკეთებს ბუნებრივად. ჩვენ ვხედავთ, როგორ აცნობს ბიძი ახალგაზრდებს; გოგონა იღებს სტუმარს ძალიან მშვიდად. სჩანს, რომ გოგონა შეურაცხყოფილი და აღშფოთებულია, მსახიობი ქალი თამაშობს ოსტატურად. იგი პირველი ამბობს „მოდი, ვილაპარაკოთ სერიოზულად“. დასვამს ვალოდის და დაუწყებს გამოკითხვას. სად მუშაობს, რამდენს იღებს, რა გააჩნია. შემდეგ ყველა თავის თავზე. ბიძი თავს იგრძნობს უხერხულად, მას ესმის, რომ ყოველივე ეს გამიზნულია. ბიძიას სთხოვს მას შესწყვიტოს საუბარი და წავიდეს საცეკვაოდ. გოგონა თანხმდება; ცვლის ფორტიტას და იწყებს როკ-ენ-როლის ცეკვას. ბიძიას შეიძლება კარგი მოსაზრებით უნდოდა გაე-თხოვებია თავის გოგონა. მაგრამ უნებურად ატყინა გული ნაღიას, ნაღია აშკარად ავლენს თავის პროტესტს და აცხადებს ბრძოლას საკუთარ ადამიანურ „მესათვის“ ამ ცეკვის დროს, დაამთავრა რა ცეკვა ნაღიამ გამოაცხადა. „გათავდა, ახლა მიბრძანდით“— მსახიობი ქალი მეტად გულწრფელად თამაშობს შეურაცხყოფილი ქალის სახეს, რომელიც გამოწვეულია ბიძიას უტაქტო მაკანკლობით.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს სინამდვილეში დღეს არ მოიპოვება მეორე ისეთი მსახიობი, რომლის შესახებ არსებობდეს ამდენი საწინააღმდეგო აზრები. ჩემი აზრით, ტ. ვ. დორონინა არის საინტერესო მსახიობი, რა თქმა უნდა, ეს ის მსახიობი ქალია, რამდენადაც მსახიობი ქალია, რამდენადაც მსახიობი ქალია.



ლიც თავის შემოქმედებით აღუღვებს მთელს ქალაქს. და ბოლოს, მე მინდა აღვნიშნო, რომ ამ მოგზაურობით მე შევიძინე როგორც რეჟისორმა, ძალიან ბევრი. ბუნებრივია, რომ ასეთი მოკლე წერილში, მე ვერ შევძელი ყო-

ველივე იმის აღწერა. რაც ვნახე. მესმის, რე მხოლოდ იმის შესახებ, რამაც ყველაზე მეტად ამაღელვა, გამიტაცა და ბევრი შემძინა.

რეჟისორი ვ. ნ. ვოლგუსტი.

რეჟისორის და მხახიობის

მორიგი სხდომა გახსნა რესპ. სახალხო არტისტმა პროფ. აკაკი ფალავამ. მოხსენებით „ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში“ გამოვიდა ამირან ცაიციშვილი.

მომხსენებელმა მოკლე ისტორიული ექსკურსი გააკეთა საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობის გასარკვევად დაწყებული უძველეს ხანიდან ვიდრე XIX საუკუნემდე. იგი განსაკუთრებით დაწვრილებით შეეხო ახლანდელ კულტურულ ურთიერთობებს უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებთან, დაახასიათა ცალკეულ ხელოვანთა მოღვაწეობა, ისეთების, როგორც იყო მომღერალა ფილიმონ ქორიძე (1828-1911), შესანიშნავი ტენორი პლატონ კაკაბაძე (1864-1893), რომელიც „იმერლის“ ფსევდონიმით მოგზაურობდა იტალიაში, მ. დარიალი (ნანობაშვილი) 1911-1912 წლებში ამერიკაში რომ იყო მიწვეული.

1907 წელს პარიზში რეჟისორმა მიხეილ ქორელმა და ნინო ჩხეიძემ მონაწილეობა

მიიღეს კავკასიურ საღამოში, რომელსაც, მრავალთა შორის, რომენ როლანიც დაესწრო. საფრანგეთში დიდი წარმატება ხვდა ქართველ მხატვრებს—დავით კაკაბაძეს, ლადო გუდიაშვილს და ელენე ახვლედიანს.

ცამციშვილმა მსმენელთ გააცნო გამოჩენილი ქართველი მოცეკვავე ქალის ელენე ჩერქეზიშვილს—ელი ჩეროვას ბიოგრაფია. ელი ჩეროვამ მოხიბლა პარიზის საზოგადოება და ინგლისის და შეერთებულ შტატებშიაც მიიწვიეს, მაგრამ არ წასულა.

ჩვენი ვალა მოვიძიოთ და გამოვაჩინოთ უცხოეთში მოღვაწე ხელოვნების ქართველნი მუშაკნი და დამსახურების მიხედვით მიუჩინოთ ადგილი ქართული ხელოვნების ისტორიაში.—სთქვა დასასრულს მომხსენებელმა.

სექციის თავჯდომარის მოადგილემ მ. გიმიშვილმა სექციის წევრებს გააცნო მუშაობის საორიენტაციო გეგმა.

აკაკი ფალავას შემოქმედებითი საღამო

მიმდინარე წლის 26 თებერვალს, რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის პრაფ. აკაკი ნესტორის ძე ფალავას დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი შემოქმედებითი საღამო, რომელიც მოაწვევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ.

საღამოზე თავი მოიყარეს ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა დარგის გამოჩენილმა მოღვაწეებმა, თბილისისა და რესპუბლიკის თეატრების მუშაკებმა, აკაკი ფალავას ყოფილმა მოწაფეებმა, მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებმა და მისმა პირადმა ნაცნობ-ნათესავებმა.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ აკ. დვალაშვილმა.

ქართული თეატრის ისტორიაში, თქვა ამხ. დვალაშვილმა, აკაკი ფალავამ ღირსეული ადგილი დაიკავა. მის სასცენო ხელოვნების დარგში 50 წლის თავდადებულ მოღვაწეობის მანძილზე ბევრი რამ გააკეთა ქართული ხელოვნებისათვის, გარდა იმისა, რომ იგი თვითონ იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ჩვენი თეატრალური ხელოვნების განვითარება-აყვავების საქმეში, ზრუნავდა და ზრდიდა ჩვენი თეატრალური და საოპერო ხელოვნებისათვის კადრებს, ეწეოდა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

აკაკი ფალავამ ჯერ კიდევ 1922 წელს მოჰკიდა ხელი დრამატულ სტუდიას, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული სამსახიობო ხელოვნების განვითარების საქმეში. ამ სტუდიამ აიხარა მრავალი გამოჩენილი მსახიობი.

აკაკი ფალავა სხვადასხვა დროს მუშაობდა ან ხელმძღვანელობდა მრავალ სახელოვნო დაწესებულებებს. იყო სახელმწიფო ოპერისა და მუსიკალური ათწილედის დირექტორი, ამხადებდა საოპერო კადრებს სახელმწიფო კონსერვატორიაში, მუშაობდა თეატრალური ინს-

ტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგედ და სხვა.

დღეს, — დასკვნის დასასრულ ამხ. დვალაშვილი, — ქართველი ხალხი აღნიშნავს აკაკი ფალავას დაბადებიდან 75 წლისთავს, მის ნაყოფიერ და მრავალფეროვან ღვაწლს.

მოსვენება აკაკი ფალავას ცხოვრება და შემოქმედება: გააკეთა თეატრცოდნე ნინო შვანგირაძემ.

არიან ადამიანები, რომლებმაც თვისაც საზოგადოებრივი მოღვაწეობა: თავისი ხალხისათვის ზრუნვა მათი ცხოვრების მთავარი მიზანია. ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ჩვენი დღევანდელი აუბილარი გამოჩენილი თეატრცოდნე აკაკი ნესტორის-ძე ფალავა. 50 წელზე მეტია რაც აკაკი ფალავა დაუღალავად ემსახურება ქართული კულტურის, ქართული თეატრის აყვავების კეთილშობილურ საქმეს. სასიხარულოა რომ, დღესაც ახალგაზრდული ენერგიით ეწევა პედაგოგიურ და რეჟისორულ მოღვაწეობას.

აკაკი ფალავა მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლის დროსვე გაიტაცა სახელგანთქმულმა მოსკოვის სამხატვრო თეატრმა, სადაც იგი მუშაობდა თეატრალური ხელოვნების დიდ კორიფეებთან კ. ს. სტანისლავსკისთან და ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოსთან ა. ფალავამ სამხატვრო თეატრში დადგმები განხორციელა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე აკაკი ფალავა ენთუზიაზმით შეუდგა ქართული თეატრის ახლებურად წარმართვის საქმეს. 1922 წელს აარსებს ქართულ თეატრალურ სტუდიას, რომელმაც, ვიმეორებთ, დიდი როლი შეასრულა ქართული სამსახიობო ოსტატობის ამაღლების საქმეში.

1914 წლიდან დაწყებული თითქმის არ მომხდარა არც ერთი მნიშვნელოვანი თეატრალური მოვლენა, რომელშიაც აკაკი ფალავას აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. აკ. ფალავა ეწევა სარეჟისორო მუშაობას, პედაგოგიურ მოღვაწეობას, მთარგმნელობით მუშაობას, წერს კრიტიკულ სტატიებს. იგი ყველგან და ყოველთვის ახლებურად აყენებს საკითხებს და ცდილობს ნოვატორული იერი მისცეს შემოქმედებით მუშაობას. თავის ერთ-ერთ სტატიაში, რომელიც ამ 37 წლის წინათ ჟურნალ „ხელოვნებაში“ გამოქვეყნდა სწერს: „მალე მოვა დრო, როცა ჩვენი ხელოვნება ფრთებს გაშლის და კავკასიონის გარშემც



მოველინება მსოფლიოს საკუთარი სახით და იქ შეიტანს თავის წვლილს“. აქაკი ფაღავას ეს ნათქვამი განხორციელებულია. ყველამ კარგად ვიცით თუ როგორი მოწონებით ხვდებიან ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების მრავალ მოღვაწის გამოხსლას, როგორც სამჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებში, ისე სახალხო დემოკრატიისა და სხვა ქვეყნებში. აქაკი ფაღავას მიერ განხორციელებული ისეთი პიესების დადგმა როგორიცაა: „შექსპირის „ჰამლეტი“ (ქუთაისში), ლადო მესხი-შვილის მონაწილეობით, ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“ (რუსთაველის თეატრში), ბ. ლავრენიევის „რღვევა“ (ბათუმის თეატრში), მოლიერის „ტარტიუფი“, დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, „დარისმანის გასაჭირი“, „უბედურება“ და სხვა. ხოლო ოპერაში დ. არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

აღსანიშნავია, რომ აქაკი ფაღავამ პირველმა გაიტანა ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ზ. ფალიაშვილის უკვდავი ქმნილება „აბესალომ და ეთერი“, რომელიც მან განახორციელა კიევის საოპერო თეატრის სცენაზე 1930 წელს. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ნარკვევები სცენური ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე, მონოგრაფია დიდ ქართველ მსახიობ ლადო მესხიშვილზე და სხვა.

ამასთან ერთად აქაკი ფაღავას მიერ თარგმნილია ბ. ლავრენიევის „რღვევა“. ნ. პოგოდინის „ტემპი“, ლესინგის „ემილია გალოტი“, მოლიერის „ძალად ექიმი“, საოპერო ლიბრეტოები—ვერდის „აიდა“, ვაგნერის „ლოენგრინი“ და სხვა.

აქაკი ფაღავა საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრია მისი დაარსებიდან, იგი ამ საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრია. და დღესაც, მიუხედავად მისი 75 წლის ასაკისა, სამაგალითოდ ასრულებს საზოგადოების ხაზით ყოველგვარ დავალებას. —თქვა მომხსენებელმა.

სალამოზე იუმბლარს მიესალმნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით, მწერალთა კავშირის მდივანი ბესარიონ ქლენტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით, რუსპ. დამსახ. არტისტი თამარ ბაქრაძე, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სახელით პროფ. პ. ხუჭუა, სომხეთის თეატრალური საზოგადოების სახელით ფილოლოგიურ მეცნ. კანდიდატი ბ. არუთი-

ნიანი, ზ. ფალიაშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო თეატრის სახელით რუსპ. სახ. არტისტი დ. მკვდილიძე, რუსთაველის სახ. თეატრის სახელით რუსპ. სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამაგრებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილების სახელით პროფ. გრ. ჩხიკვაძე, მეცნიერების სახ. ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სახელით ხელ. დამს. მოღვაწე დ. ქეიშვილი, საქ. სსრ კულტურის სამინისტროს სახელით ამხ. თენგიზ ჯანელიძე, გრიბოედოვის სახ. თეატრის სახელით, რუსპ. სახალხო არტისტი ეკ. სატინა, ვ. აბაშიძის სახ. თბილისის მუსიკალურ კომედიის თეატრის სახელით ხელ. დამს. მოღვაწე შ. მესხი, საქართველოს მხატვართა კავშირის სახელით ხელ. დამს. მოღვაწე ვ. სანაძე, ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორიის სახელით ამხ. ირ. ბერიძე, მარჯანიშვილის სახ. თეატრის სახელით სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გოდიაშვილი, ხელოვნების მუშაკთა სახლის სახელით, რუსპ. სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, მწერალი რ. ქორქია და სხვა.

დასასრულ ვაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. გოდიაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნ. ხარაძემ და ზ. გოცირიძემ. მსახიობმა რ. გორგიძემ (ოპერა), ირ. ბათიაშვილმა (კონსერვატორია). ზ. როსტომაშვილმა და სხვა.

ბ რ ძ ა ნ ე მ ზ უ ლ ე მ ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიმისა ამხ. ა. ნ. ვაღაშასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ დაბადების სამოცდათხუთმეტი წლისთავთან დაკავშირებით და ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში თვალსაზრისით დამსახურებისათვის ამხ. აქაკი ნესტორის-ძე ფაღავას მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძიწენიძე**
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი**



ჩვენნი ბიბლიოთეკა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ბიბლიოთეკა 1947 წელს ჩამოყალიბდა. მას სათავეში ჩაუდგა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ჟივიძე. პირველ ხანებში ბიბლიოთეკა მხოლოდ გაზეთებსა და ჟურნალებს ღებულობდა, უმთავრესად ხელოვნების დარგში. 1948 წელს შ. დადიანის თაოსნობით შეიქმნა წიგნების შესაძენი ფონდი, მას შემდეგ ბიბლიოთეკა განუწყვეტლივ იძენს ლიტერატურას, უმთავრესად თეატრის პროფილით.

ბიბლიოთეკის დაკომპლექტებას დიდად ეხმარებოდა თეატრალური საზოგადოების აქტივი და ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე ე. შენგელია. 1949 წელს ახ. ნ. თალაკვაძემ ჩვენს ბიბლიოთეკას უსასყიდლოდ გადასცა გ რ ა ნ ა ტ ი ს „ენციკლოპედიური ლექსიკონის“ 12 ტომი (1913 წ. გამოცემა) და სევეროვის „ქართული არქიტექტურის ძეგლები“.

1957 წლიდან დამტკიცებული იქნა ბიბლიოთეკარის შტატი, ამ თანამდებობაზე დაინიშნა თამარ გორდაძე.

ამჟამად ბიბლიოთეკაში დაკულია 4600 წიგნი, მიუხედავად წიგნების რაოდენობის სიმცირისა, იგი დაკომპლექტებულია ყველა დარგის მიხედვით. წარმოდგენილია შემდეგი განხრები: ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ლოგიკა, ე. მარქსისა და ვ. ი. ლენინის შრომები, პოლიტიკური ლიტერატურა, მხატვრული ლიტერატურა, — რუსული, ქართული, დასავლეთ ევროპის, ანტიკური, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია.

ბიბლიოთეკის მიზანია დახმარება გაუწიოს თეატრის მუშაკებს, — მსახიობებს, რეჟისორებს, დეკორატორ-მხატვრებს და თეატრმცოდნეებს, მათთვის საჭირო ლიტერატურის შერჩევა-მიწოდებაში.

ბიბლიოთეკაში მუშაობის გაადვილების მიზნით გამოყოფილია ქვეგანხრები: რუსული თეატრი დიდი ოქტომბრის რევოლუციამდე და შემდეგ, მონოგრაფიები გამოჩენილ მსახიობებზე, მემუარული ლიტერატურა, ლიტერატურა თეატრმცოდნეობაზე, რეისურაზე და დრამატურგიაზე.

ქართული თეატრის ისტორია, მონოგრაფია ქართველ მსახიობებზე, მემუარული ლიტერატურა, ილ. ჭავჭავაძე და ა. კ. წერეთელი ქართული თეატრის შესახებ და სხვა.

არის ლიტერატურის მოძმე რესპუბლიკების თეატრებზე.

დიდი რაოდენობით არის ორივე ცალკე გამოცემული პიესები და პიესების კრებულები, როგორც ქართული, ისე რუსული.

აგრეთვე საოპერო ხელოვნება ოქტომბრის რევოლუციამდე და შემდეგ, ცირკი, რუსული ესტრადის გამოჩენილ მსახიობთა მონოგრაფიები, ქართული საესტრადო ლიტერატურა. თოჯინების თეატრზე ერთეული წიგნები.

საინტერესო ლიტერატურა. ხელოვნების განხრით: მაგ: ისეთი წიგნები როგორც არის: 1. გერცენი ხელოვნების შესახებ, 2. სტასოვი ხელოვნების შესახებ, 3. გოეთე—წერტილები და ფიქრები ხელოვნებაზე 4. ანტიკური მთაზროვნენი ხელოვნების შესახებ. 5. ლორენკო გიბერტი—კომენტარები იტალიის ხელოვნებაზე. 6. დას. ევროპის ხელოვნების ისტორია.

არქიტექტურის დარგში მოგვეპოვება იშვიათი გამოცემები 1. პალადიო — „წიგნი არქიტექტურაზე“, 2. ტორიოვი-ჯოვანი — ბატისტა პირანესის რჩეული ოფორტები, 3. ძველი რომის არქიტექტურა და სხვა. შეძენილი, თითქმის ყველა შრომები ქართულ ხუროთმოძღვრებაზე. დაკომპლექტებულია კინოხელოვნება და მუსიკაც.

ბიბლიოთეკას გააჩნია ისეთი იშვიათი გამოცემები, როგორებიცაა:

„თეატრი თბილისში“ (რუსულად) 1845—დან 1856—მდე, 1888 წ. ფრიდრიხ ჰოტატუნროტის „ტრაბტენ დერ ფოლკერ“ სადაც აღწერილია მსოფლიო ხალხების კულტურის კერები, ხალხის ადათ-წესები, ჩაცმულობას, ყოფცხოვრებითი ნივთები, 2 ტომად, გერმანულ ენაზე გამოცემული 1884 წ. ყოველ ტომს ბოლოს ერთვის 120 ფერადი ილუსტრაცია, 1888 წ. გამოცემა



ლი ყველა დროის და სტილის ორნამენტები*.

1902 წ. გამოც. შექსპირის 5 ტომეული ილუსტრაციებით და სხვა.

ამათ გარდა ჩენს ბიბლიოთეკაშია მთელი რიგი დადგმების მეტად საინტერესო გამოცემები, ასე მაგ.,

1. მოსკოვის აკადემიური თეატრის მე-3 სტუდიის დადგმა—კ. გოცის პიესისა „პრინცესა ტურანდოტი“, გამოც. 1923 წ. წიგნს თან ერთვის დადგმის ისტორია, შემდეგ დაბეჭდილია წერილები, რომელშიც დახასიათებულია სპექტაკლის ვახტანგოვისეული რეჟისორული გადაწყვეტილება. ამის შემდეგ დაბეჭდილია პიესა დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზებით, ბოლოს სპექტაკლის მუსიკა.

2. „პიკის ქალი“, ოპერისა და ბალეტის მცირე თეატრის დადგმა. შესავალი წერილი თეატრისაგან, ამას მოყვება წერილები: პუშკინი და ჩაიკოვსკი. „პიკის ქალი“ ოპერისა და ბალეტის მცირე თეატრში, ჩაიკოვსკის „პიკის ქალის“ ლირიკის შესახებ, რამდენიმე სიტყვა დირიჟორისაგან, პუშკინის მუშაობა „პიკის ქალზე“, „პიკის ქალის“ სცენური ისტორია. აქვეა დეკორაციების და კოსტიუმების ფერადი რეპროდუქციები.

3. გრიბოედოვის „ვაი ქუქისაგან“, საიუბილეო გამოცემა, მიძღვნილი შჩეპკინის დაბადების 150 წლისადმი;

ბროშურა იწყება წერილით შჩეპკინის მოღვაწეობის შესახებ. მცირე თეატრის დადგმა ესკიზებით. შჩეპკინი თამუსოვი, 1936 წლის საიუბილეო სპექტაკლი.

4. „ჰამლეტი“, სტატიების კრებული „ლენინოვების“ თეატრში სპექტაკლის დადგმასთან დაკავშირებით.

„ჰამლეტი საბჭოთა სცენაზე“. „რეჟისორის მუშაობა სპექტაკლზე“. „სპექტაკლის სტილი“ და სხვ. აგრეთვე ესკიზებისა და შემსრულებლების ფოტორეპროდუქციებით.

5. ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“, სამხატვრო თეატრის დადგმა. ნემიროვიჩ-დანჩენკოს რედაქციით გამოცემული 1919 წ.

6. ლერმონტოვის „მასკარადი“—საიუბილეო დადგმა და სხვ.

ჩენს ვინახავთ ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეებზე შეგროვილ მდიდარ ბიბლიოგრაფიულ მასალას. შემოღებულია პრაქტიკაში გაზეთებიდან ამონაჭრების დაკომპლექტი-

ბა, ყველა სახელმწიფო და სახალხო თეატრებზე, და კოლექტივებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენმა მოცულობით პატარა, მაგრამ საყურადღებო ბიბლიოთეკამ ჯერ კიდევ ვერ მოიზიდა თეატრის მუშაკების მიძღვება ჩენი მსახიობების და რეჟისორების უწყურადღებობა დროის უქონლობით აეხსნათ, მაგრამ დრამატურგები და მხატვრები, რომლებიც თეატრალური საზღის ხშირი სტუმრები არიან, ვერ სარგებლობენ ჩენი ბიბლიოთეკით. ამის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ბიბლიოთეკის შენობა მეტისმეტად შეუფერებელია, ვერც ზამთარში და ვერც ზაფხულში სამუშაო განწყობილებას ვერ ქმნის. სინესტის გამო წიგნებსაც მოეღის ზიანი.

ფიქრობთ, მომავალში მდგომარეობა გაგვიუმჯობესდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სანამ უკეთეს შენობაში არ გადავალთ, წიგნების ფონდი უსარგებლოთ უნდა იყოს. ჩენ არ დავზარდებით წიგნზე მუშაობის მსურველთ.

დაბეჭდილებით მოუწოდებთ რეჟისორებს, დრამატურგებს, მხატვრებს და მსახიობებს, დაგვიხლოვდნენ და ისარგებლონ ჩენი მდიდარი ბიბლიოთეკით.

ჩენი გამოცემლობა

1947 წელს, სულ ორიოდ წლის შემდეგ საქართველოს თეატრალური საზოგადოების ჩამოყალიბებიდან, დაარსდა გამომცემლობა „ხელოვნება“.

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელისშესაწყობად და პოპულარიზაციისათვის, აგრეთვე თეატრის მუშაკთათვის დახმარების მიზნით, გამომცემლობა „ხელოვნება“ სცემს შრომებს, მონოგრაფიებს, მემუარებს, მეცნიერულ ნარკვევებს და სახელმძღვანელოებსაც კი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გამომცემლობა „ხელოვნება“ შეიძლებისდაგვარად ვალს უხდის წარსულსა და აწმყოს თეატრალურ მოღვაწეთ, აქვეყნებს მათზე წიგნებს, კრებულებს, ალბომებს, ბროშურებს.



„ხელოვნება“ თავის მოღვაწეობა მკიცრედთ დაიწყო. 1947 წელს მხოლოდ სამი ავტორი გამოიცა მარჯანიშვილის „მეშუარები“, ს. გერსამიას „ქუთაისის თეატრი“ და გ. ბუხნიკაშვილის—ქ. მარჯანიშვილი (ბოგრაფია). ერთი წლის შემდეგ „ხელოვნებას“ მიერ გამოცემულ წიგნთა რაოდენობამ ათს მიაღწია. 1954 წლიდან კი „ხელოვნება“ თავის ყოველწლიურ საგამომცემლო გეგმაში თითქმის 4 ათეულ წიგნს ითვლის. გამოცემლობამ შესძლო ავტორებად, რედაქტორებად თუ სტილისტად გაეხადა დღეისათვის აღიარებული მწერლები. ცნობილი ხელოვნებათმცოდნეები, თეატრმცოდნეება, ჟურნალისტები. — შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, შალვა კაშიაძე, მიხეილ მრეველიშვილი, შალვა აფხაძე, შალვა ამირანაშვილი, ოთ. ფაქეძე, ვახტანგ ბერიძე, მ. დუღუშაია, გიორგი ციციშვილი, ერ. ქარელიშვილი, ვახტანგ ქედიძე, ალექსანდრე ბურთიაშვილი. პაველ ხუჭუა, ნათელა ურუშაძე და სხვები.

„ხელოვნებას“ 1961 წლის საგამომცემლო გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო საქართველოს ეროვნული ზემის — 40 წლის თარიღისადმი მიძღვნილ შრომებს. მკითხველმა საზოგადოებამ მიიღო ნ. კანდელაკის — „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“. წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება, რედაქტორია ილ. აბულაძე, მხატვარი ლ. გრიგოლია, ტექრედაქტორია თ. მამფორია.

ინტერესი გამოიწვია ვახტანგ ჟვანიას ნაშრომმა — „ქართველი იურისტები და მათი ორატორული ხელოვნება“. მასში მოცემულია მასალები იურისტთა როლის შესახებ ქართულ ორატორულ ხელოვნების დამკვერმეტყველების განვითარებაში, აგრეთვე ცნობები ისეთი გამოჩენილ იურისტთა მოღვაწეობის შესახებ, როგორც იყვნენ: ლ. ნ. ანდრონიკაშვილი, ი. გ. ბარათაშვილი, გ. ა. ნანეიშვილი, შ. ვ. მესხიშვილი, დ. ი. პოლუმბო-დვინოვი და სხვები. წიგნს აქვს დართული ქართულ იურისტთა მიერ სასამართლო პროცესებზე წარმოთქმული სიტყვები, რედაქტორია ნ. კანდელაკი, მხატვარი ს. ლამბაშიძე, ტექრედაქტორი ლ. სიხარულიძე.

მკითხველთა საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესით მიიღო აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ფუნდამენტალური ნაშრომი „ქართული ხელოვნების“ ისტორია. ეს ნაშრომი დიდი შენაძინა ქართული კულტურისათვის. წიგნის რედაქტორია პ. ინგვროყვა, მხატვა-

რი ლ. წილოსანი, ტექრედაქტორი თ. მამფორია.

1961 წელს გამოცემულია სხვა საინტერესო წიგნებიც:

ალ. ქუთელია „სიცილი და მისი სოციალური არსი“. წიგნში ავტორის მოცემული აქვს სხვადასხვა დროისა და ეპოქის (არისტოტელე, პლატონი, არისტოფანი, კანტი, ჰეგელი. და სხვა) მოაზროვნეების შეხედულებები.

მეორე ნაწილში ავტორი აკეთებს სიცილის ფორმების — იუმორის, ირონიის, სატირის, გონებაშახვილური თქმების ანალიზს.

ვრცლად არის განხილული რევოლუციონერ დემოკრატების და მარქსისტული ფილოსოფიის აზროვნების შესანიშნავი წარმომადგენლების: — ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის და -სხვათა აზრები, შეხედულებები და დებულებები სიცილის არსზე. აქვეა მოცემული ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის შეხედულებები სიცილზე. მის მიხანზე და დანიშნულებაზე. წიგნის რედაქტორია კ. გაწერელია, მხატვარი ა. ჭედია. ტექრედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი.

ს. ავიჩიანი — „ქართული-სომხური თეატრალური ურთიერთობა“, რედაქტორი ა. ადამია, გამომც. რედაქტორი კ. გაწერელია. მხატვარი ვ. კილაძე, ტექრედაქტორი თ. მამფორია.

ბუხნიკაშვილი — „თამარ ჭავჭავაძე“, რედაქტორი ნ. მეგრელიძე, მხატვარი ა. ბალაბუევი, ტექრედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი.

ბერძენიშვილი — „გორის ციხე“, რედაქტორი პროფ. ს. მაკალათია, მხატვარი — ი. კილაძე, ტექრედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი.

კიწი გიგეჰქორი — „ლოტბარის მოგონებები“, რედაქტორი ნ. ვაჩანაძე, მხატვარი ვ. ბაქრაძე, ტექრედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი.

გოგიაშვილი — „ახალი სახლით“, რედაქტორი მ. მრეველიშვილი, მხატვარი გ. ფოცხიშვილი. ტექრედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი.

ჩიხლაძე — „ქეთო ჯაფარიძე“ რედაქტორი შ. აფხაიძე, მხატვარი ვ. რუსუკეი. ტექრედაქტორი ლ. არაბიძე.

შალვა კვასხვაძე — „ნ. კანდელაკი“. რედაქტორი ა. ადამია, გამომც. რედაქტორი კ. გაწერელია, მხატვარი ვ. მველიშვილი, ტექრედაქტორი თ. მამფორია.

ალექსიძე — „რეჟისორის მუშაობა სპექტაკლზე“. რედაქტორი ო. ლორთქიფანიძე, გამომც. რედაქტორი კ. გაწერელია, მხატვა-



რი ი. გუკიევა, ტექრედაქტორი ბ. ჯიჯეი-
შვილი.

ლ. ლვალაძე-ჭაბუკიანი — „საქართველოს
სახალხო თეატრები“. რედაქტორი ა. ადამია,
მხატვარი ა. ჰეღია, ტექრედაქტორი ლ. არა-
ბიძე.

გ. კაკიაშვილი — „დრამატურგთა პორტრე-
ტები“. რედაქტორი გ. ხუხაშვილი, გამომც.
რედაქტორი კ. გაწერელია, მხატვარი ი. გუ-
კიევა, ტექრედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი.

ვ. შილაკაძე — „ხალხური მუსიკის მოამაგე-
ნი“. რედაქტორი ვრ. კოკელაძე, გამომც.
რედაქტორი კ. გაწერელია, მხატვარი ი. გუ-
კიევა, ტექრედაქტორი თ. მამფორია.

ბ. ხუჭუა — „მელიტონ ბალანჩივაძე“. რედა-
ქტორი გრ. ჩხიკვაძე, გამომც. რედაქტორი
კ. გაწერელია, მხატვარი ი. გუკიევა, ტექ-
რედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი.

დ. ჯავრიშვილი — „ქართული ცეკვის ჩასა-
წერი პირობითი ნიშნები“. რედაქტორი ლ.
გვარამაძე, გამომც. რედაქტორი კ. გაწერე-
ლია, მხატვარი კ. წერეთელი, ტექრედაქტო-
რი თ. მამფორია.

ი. თავაძე — „მხატვრული გემოვნების აღ-
ზრდის საკითხისათვის“. რედაქტორი გ. ცი-
ციშვილი, გამომც. რედაქტორი კ. გაწერე-
ლია, მხატვარი ა. ჰეღია, ტექრედაქტორი
ლ. არაბიძე.

ავტორთა ჯგუფი — „კოტე მარჯანიშვილი“
(ქრებული). რედაქტორები მიხ. მრეკლიშვილი,
ილია თავაძე. გამომც. რედაქტორი კ. გაწე-
რელია, მხატვარი ნ. იანქოშვილი, ტექრე-
დაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი.

ერემია ქარელიშვილი — „გადამწვარი გუ-
ლი“. რედაქტორი ა. ადამია, გამომც. რედა-
ქტორი კ. გაწერელია, მხატვარი ს. ღამბა-
შიძე.

ბერტოლდ ბრეხტი — „კავკასიური ცარცის
წრე“. რედაქტორი ა. გელოვანი, გამომც.
რედაქტორი კ. გაწერელია, მხატვარი ვ. კას-
რაძე, ტექრედაქტორი ბ. ჯიჯეიშვილი.

საზოგადოება სულ მოკლე დროში მიიღებს
უკვე 1962 წლის ვეგმით გამოცემულ წიგნებ-
საც, მათ შორის:

ვაჟა გვახარია — „ქართული მუსიკის ისტო-
რიის ბერიოლინაჟია და მუსიკალურ სისტე-
მათა განვითარება“.

წიგნში გაშუქებულია ქართული მუსიკა-
ლური ხელოვნების განვითარების უმნიშვნე-
ლოვანესი საკითხები. ნაშრომში პირველი
ცდაა ქართული მუსიკის ისტორიის პერიოდ-

ზაციისა და ქართული მუსიკალური სისტე-
მების თეორიული ანალიზისა. წიგნში შეტა-
ნილია დღემდე გამოუქვეყნებელი მრავალი
მუსიკალური და ჰიმნოგრაფიული ძეგლი.

ავტორთა ჯგუფი — „ქართველი მსახიობი
ქალები“, თეატრმკოდნეების ეთერ დავითიას,
მერი ლვინიაშვილის და მ. ნიჟარაძის მონო-
გრაფიული შრომების კრებული, რომელშიც
მოთხრობილია ქართული თეატრის აქტიო-
რული სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის
ელისაბედ ჩერქეშიშვილის და ძველი ქართული
თეატრის მოღვაწეების — ალექსანდრა კარგა-
რეთელისა და ოლღა ლეჟავას ცხოვრებასა და
და შემოქმედების შესახებ.

თათარ ეგაძე — „ქართული ბალეტის ოსტა-
ტები“. ნაშრომში ვრცლად არის განხილული
ქართული ბალეტის წარმოშობისა და მისი
განვითარების ისტორია. ქართული ბალეტების
„მთების გულის“. „გორდას“, „სინთლის“,
„ოტელს“ და სხვა. დადგმისა და სცენური
ხორცშესხმის ისტორია. ნაშრომში არის მო-
ცემული ქართული ბალეტის ბრწყინვალე ოს-
ტატის ვახტანგ ჭაბუკიანის, წამყვანი სოლის-
ტების: ლილი გვარამიძის, ვ. წიგნაძის, ზურაბ
კიკალეიშვილის, ბაუერის, ა. წერეთლის, ირ.
ალექსიძის და სხვათა პორტრეტები. ქართული
ბალეტის საგანტროლო მოგზაურობა საბჭოთა
კავშირში და საზღვარგარეთ. წიგნი მდიდ-
რულად არის ილუსტრირებული.

ა. გელოვანი — „შოპენის გული“. წიგნი
მონოგრაფიული ხასიათისაა. ავტორმა საინ-
ტერესო მასალებზე დაყრდნობით, ღრმა ანა-
ლიზის საფუძველზე აჩვენა გენიალური კომ-
პოზიტორის შოპენის ცხოვრება და მოღვა-
წეობა. გარჩეულია მისი ნაწარმოებები. წიგ-
ნი ილუსტრირებულია.

გამომცემლობა „ხელოვნებას“ უკვე წარმო-
ებაში 1962 წლის ეგემიდან აქვს შენდგეი საინ-
ტერესო წიგნები:

ალ. იმედაშვილი — „წერილები. მოგო-
ნებები, ჩანაწერები“. მასში მოცემული მასა-
ლები მრავალ ხალ და საინტერესო ფურცელს
შემატებს ქართული თეატრის ისტორიას.

მოგონებებში მოთხრობილია ავტორის ბავ-
შეობა, სკოლაში გატარებული წლები, მკით-
ხველი ეცნობა, თუ როგორ ჩაეხასა მომავალ
დიდს მსახიობი თეატრის სიყვარული, ნაჩე-
ვნიბა მისი პირველი ნაბიჯები სცენაზე. შეხვე-
დრები ლ. მესხიშვილთან. მ. საყაროვა-ბა-
შიძესთან. ნატო გაბუნიათან, კოტე მესხთან
და სხვებთან.



გერცელ ბაზოვის პიესები — „მუხჯები ალაპარაკდნენ“ „იკვა რიჟინაშვილი“, რომლებიც წარმატებით იდგმებოდა კოტე შარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

„პართლი შექსპირიანა“, წიგნი II, „შედგე“ ნილი ნიკო ყიასაშვილისა.

წიგნი წარმოადგენს ქართველი მწერლების, მეცნიერების და ხელოვნების მუშაკების წერილებსა და ნარკვევების კრებულს შექსპირის კლასიკურ მემკვიდრეობაზე, თარგმანებზე, შექსპირის პიესების დადგმაზე ქართულ თეატრში როლების შემსრულებლებზე. კრებული ილუსტრირებულია. დართული ექნება მოკლე ანოტაციები რუსულ და ინგლისურ ენებზე.

ია კარგარეთელი — „წერილები და მოგონებანი“. წიგნში შესულია კომპოზიტორისა და პედაგოგის, ჟურნალისტისა და მუსიკის ისტორიის მკვლევარის ია კარგათელის მოგონებანი და წერილები.

წიგნის დართული აქვს შემდგენელისა და რედაქტორის ვრცელი შესავალი წერილი და განმარტებანი.

ა. ცამციშვილი — „ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში“. წიგნში თავმოყრილია მდიდარი მასალა, უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ხელოვანთა შემოქმედებაზე.

ავტორთა ჯგუფი: — „რაც გაგვახსენდა“. წიგნში შესულია ქართველი მწერლების, მეცნიერების, თეატრალური მუშაკების მოგონებანი გამოჩენილ მწერალ, თეატრალურ და საზოგადო მოღვაწეზე შალვა დადიანზე.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა გამომცემლობა ანზადებს აგრეთვე:

ვ. გაბესკირია — „შრილებენ ვერხები“. ნ. ურუშაძე — „ს. თაყაიშვილი“, ლ. გვაზავასანაძე — „ერმიტაჟი 111 წიგნი“, შ. კაშმაძე — „ვ. სარაჯიშვილი“, შ. აფხაძე — აკაკი ხორავა“, ირ. უხანაძე — „მე — XI საუკუნის დეკორატიული ძეგლი ლაშქვანი“, ლ. გვარამაძე — „მოცეკვავე მთაწმინდიდან“, მ. მრეველიშვილი „პიესები“ (კრებული), ტ. ჩიტალაძე „სტეირის კვალდაკვალ“.

გამომცემლობა „ხელოვნებას“ 1954 წელს დაანთხელოვნებულს პოეტი დრამატურგი ალიო ადამია. გამომცემლობისთან არსებობს საარედაქციო კოლეგია, რომელშიც შედიან: შიხელი მრეველიშვილი, შალვა აფხაძე, მამია დუღუბაძე, გიორგი ციციშვილი, ე. ქარელიშვილი, ნინო შვანგირაძე, ვახტანგ ქელიძე.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების ფინანსური საქმიანობა IV ყრილობიდან V ყრილობამდე.

(1958 წ. 1/I — დან 1962 წ. 1/II — მდე.)

საქართველოს თეატრალური საზოგადოებას ევალება ყოველმხრივ ხელი შეუწყოს თეატრალური ორგანიზაციებს და შემოქმედებითი და მატერიალური დახმარება გაუწიოს საქართველოში თეატრალური ხელოვნების განვითარებას.

აღნიშნული ამოცანის შესრულება საზოგადოებას ძალიან გაუძნელდება, რომ მას არ ჰქონდეს გარკვეული საწარმოო ფინანსური ბაზა. ფინანსური ბაზის შესაქმნელად საზოგადოებას აქვს სტამბა, მაღაზია, აგრეთვე საწარმოო განყოფილება.

საზოგადოების საწარმოო განყოფილების, სტამბის და მაღაზიის მუშაობას აკონტროლებს სახელმწიფო.

1958 წლის 1/1—დან 1962 წლის 1/1—
მდე მათი საქმიანობა შემდეგ სურათს იძლე-
ვა (ახალ ფულზე).

გამომცემლობა «ხელოვნება»

საზოგადოების IV ყრილობიდან V ყრი-
ლობამდე 4 წლის განმავლობაში გამომცემ-

		გეგმა 1958 წ. 1/1—დან 1962 წ. 1/1—მდე	ფაქტიური შესრუ- ლება 1958 წ. 1/1—დან 62 წ. 1/1—მდე	შესრულება % —ში
1	საერთო პროდუქციის გამოშვება—საწარმოო განყოფილებაში.	2927000	3047200	104
2	საერთო პროდუქციის გამოშვება სტამბაში.	246000	282900	115
3	ვაკრობა მალახოაში	439000	497800	213

აღნიშნულ სამრეწველო სექტორ გეგმების შესრულების შედეგად საზოგადოებას ჰქონდა დაგროვება. დაგროვების უმეტესი ნაწილი რჩება საზოგადოებას, რომელიც ხმარდება საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ მოღვაწეობას.

დაგროვების სურათი:

№№	და გ რ ვ ე ბ ა	გეგმა 1958 წ. 1/1—დან 62 წ. 1/1—მდე	ფაქტიური შესრუ- ლება 1958 წ. 1/1—დან 62 წ. 1/1—მდე	შესრულება % —ში
1	საწარმოო განყოფილება	472600	623600	132,5
2	ს ტ ა მ ბ ა	24000	60900	253
3	მ ა ლ ა ხ ი ა	47900	44300	92,7
ს უ ლ		544500	728800	133,9

აღნიშნულ დაგროვებიდან სახელმწიფო ბიუჯეტს მიეცა პროცენტული ანარიცხები 155940 მანეთი, ხოლო ბრუნვიდან გადასახადი (შედის საქონლის ღირებულებაში) 470990 მანეთი, სულ 1958 წლის 1/1—დან 1962 წლის 1/1—მდე საზოგადოებამ სახელმწიფო ბიუჯეტს კუთვნილი ანარიცხების სახით მისცა 625830 მანეთი. დაგროვების ანგარიშის ხარჯზე აშენდა საცხოვრებელი სახლი 150000 მანეთის ღირებულებით.

86900 მანეთი გაღებული იქნა პრეზიდენტის შესანახად, ხოლო დანარჩენი თანხა შემურთავა საზოგადოების ძირითად ფონდს.

ლობამ გამოსცა 104 დასახელების წიგნი, 768 საავტორო ფორმით, 439 ათასი ტირაჟით.

აღნიშნულის გარდა დაიბეჭდა საბა-სულხან ორბელიანის 5000 ცალი, ხოლო ი. გოგებაშვილის 2000 ცალი პორტრეტი. ოთხი წლის განმავლობაში გამომცემლობას დოტაციის სახით მიეცა 122000 მანეთი.

**თეატრალური საზოგადოების
პრეზიდენტი**

საზოგადოების ფინანსური ბაზის შესაქმნელად მთავრობამ საზოგადოებას ნება დართო ჩამოეყალიბებინა საწარმოო განყოფილება საამქროებით, უსასყიდლოდ გადასცა სტამბა მდებარე თბილისში გორკის ქ. № 3 — ში. აღნიშნულმა ორგანიზაციებმა საზოგადოებას საქმარისი შემოსავალი მისცა. საზოგადოების პრეზიდენტს გარდა დაქვემდებარებული ორგანიზაციების დაგროვებისა, საწარ-



მოო განყოფილების მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებიდან ეძლევა კანონით გათვალისწინებული პროცენტი.

საზოგადოების IV ყრილობიდან V ყრილობამდე პრეზიდიუმმა როგორც აპარატის შენახვაზე, ისე ყველა ღონისძიებების ჩატარებაზე დახარჯა 36300 მანეთი.

აღნიშნული თანხის დასაფარავად საზოგადოების პრეზიდიუმმა საწარმოო განყოფილებიდან გამოშვებულ პროდუქციის თვითღირებულებიდან დარღებული პროცენტების სახით მიიღო 276700, ხოლო მოგებიდან შეეფსო 86900, სულ 363600 მანეთი.

აღნიშნული თანხიდან დაიხარჯა:

1. შეძენილი იქნა ოთხი მაკეტი
 - ა) სუმბათაშვილი-იუფინის — „ლალატი“
 - ბ) კორნეიჩუკის — „ბოგდან ხმელნიცკი“
 - გ) გოლდონის — „საპატარძლო აფიშით“
 - ვ) შილერის — „ყაჩაღები“.

ამ მაკეტების ღირებულება შეადგენს 300 მან. რომელიც გადაეცა უსასყიდლოდ ირ. გამრეკელის სახლმუზეუმს, ამავე სახლმუზეუმში ინახება საზოგადოების კუთვნილი სამი ესკიზი:

- ა) კირშონის — „რელსები გუგუნებენ“
- ბ) მთვარაძის — „შლეგი“
- გ) შექსპირის — „ოტელო“

აღნიშნული ესკიზები საზოგადოებას დაუჯდა 950 მან.

2. ყრილობიდან ყრილობამდე საზოგადოებას პლენუმზე, კონფერენციებზე, სესიებზე თეატრებში, ქარხნებში, დისპუტებზე, საიუბილეო, შემოკმედებით და ხსოვნის საღამოებზე ჩატარებული აქვს 769 მოხსენება. ხოლო დისპუტებზე სახელმწიფო და სახალხო თეატრებში, თბილისსა და რაიონებში განხილული და განხილული აქვს 418 სპექტაკლი. აღნიშნულ ღონისძიებების ჩატარებაზე საზოგადოებამ დახარჯა 31250 მან.

3. სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების თხოვნით ჩვენს საზოგადოებას დაქირაებული ყავს კაცია, რომელიც უგლის სსრკ სს. არტისტის მიხეილ კლიმოვის საფლავს.

4. საზოგადოებამ წესრიგში მოიყვანა დამატებითი დაუდგა აწ განსვენებულ თეატრალურ მოღვაწეებს:

- ა) მიხეილ გელოვანს (მოსკოვში)
- ბ) ნიკო ქუმსიაშვილს (თიანეთში)
- გ) ვასო აბაშიძეს (თბილისში)
- დ) ალექსანდრე თაყაიშვილს (თბილისში)

აღნიშნულ ძეგლების დადგმაზე დახარჯულია 3400 მან.

5. თურნად „თეატრალურ ცხოვრებას“ მიეცა დოტაციის სახით 3800 მან.

6. მიეცა გამომცემლობა „ხელოვნებას“ დოტაცია 122000 მან.

7. აქ მოზარდ-მაყურებელთა თეატრების შეკრებაზე გაიგზავნა თბილისის ქართულ მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, რომელზედაც დაიხარჯა 1600 მან.

8. შეძენილა საზოგადოების ბიბლიოთეკისათვის თეატრალური ლიტერატურა 2000 მანეთის.

9. ჩატარებულია თანამედროვე თემისადმი მიძღვნილი სპექტაკლების კონკურსი, რომელიც დაჯდა 2480 მან.

10. პიონერთა ბანაკების შესახად გაემართლა საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირზე—1500 მან.

11. თბილისის 1500 წლის იუბილეს გაფორმებაზე დახარჯულია 3600 მან.

12. შეძენილია საგზურები და გაცემულია ფულადი დახმარებები საზოგადოების წევრებზე—521 ჯერ—30200 მან.

13. საზოგადოების ხარჯზე გაგზავნილია შემოკმედებით მივლინებებში 115 წევრი. დახარჯულია 15900 მან.

მათ შორის:	
რეჟისორი	29 კაცი
მსახიობი	60 „
თეატრმცოდნე	6 „
დრამატურგი	3 „
სადაღმა. ნაწ. მუშაკი	—11 კაცი
მხატვარი	5 „
კომპოზიტორი	1 „

14. საშფეო სამუშაოების ჩატარებისათვის დახარჯულია—1000 მან.

15. კულტურის სამინისტროსთან ერთად ჩატარებულია კონკურსი „თანამედროვეობის ამსახველი საუკეთესო პიესის შექმნაზე“ გაცემულია პრემია, 2500 მან.

16. შეძენილია საზაფხულო ბაღი „სტელო“ 15000 მან.

17. მოეწყო საქართველოს თეატრების სამხატვრო სადღეგმო დარგის მუშაკთა 7 დღიანი სემინარი. სემინარის ჩასატარებლად მოსკოვიდან მოწვეული იყო ოთხი ლექტორი, სემინარს დაესწრო როგორც თბილისის ისე პერიფერიების თეატრების წარმომადგენლები. ამ ღონისძიებაზე დაიხარჯა 1270 მან.

18. საზოგადოების ხარჯით მოსკოვიდან მოწვეული იყო განათების სპეციალისტი ა. ზ. ნამიოტი, რომელმაც შეისწავლა და შეამოწმა საქართველოს სახელმწიფო თეატრების საგამანათებლო სამუშაოების მუშაობა და დასახა სათანადო ღონისძიებანი თეატრებში განათების უკეთ მოწყობისათვის. აღნიშნულ ღონისძიებაზე გაღებულია—800 მან.

19. გაკეთებულია ხუთი ალბომი „შექსპირი ქართულ სცენაზე“. ორი მათგანი საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა დელეგაციამ გადასცა ინგლისში შექსპირის სახლმუზეუმს. აღნიშნულ ალბომების გაკეთებაზე დაიხარჯა—1800 მან.

20. საზოგადოების კუთვნილ სტამბის ტერიტორიას მიემატა 300 კვ. მეტრი სასარგებლო ფართობი. დაიდგა ახალი დანადგარებო და მანქანები. სტამბა ძირითადად გადაყვანილია წიგნების ბეჭდვაზე. აგრეთვე ბეჭდავს აფიშებსაც. სტამბის კაპიტალურ რემონტზე და მის კეთილმოწყობაზე დახარჯულია 31000 მან.

21. ჩატარებულია მანგლისის აგარაკის და თეატრალურ საზოგადოების პრეზიდენტიშის შენობის რემონტი 7500 მან.

83350 მან. საზოგადოების პრეზიდენტიშს დახარჯული აქვს: აპარატის შენახვაზე, რაიონებში მოხსენებებისათვის წასაკითხად მივლინებულ ამხანაგების ხარჯებზე, ბიბლიოთრაფიული მასალების შეძენაზე, ჩატარებული ღონისძიებების გაფორმებებზე და სხვა.

საწევრო ანარიცხები.

საზოგადოების წევრთა საწევრო ანარიცხები 1958 წ. 1|1—დან აკრეფილი იყო 3384 მან.

მიმდინარე 4 წლის განმავლობაში აიკრიფა 4727 მან.

1962 წ. 1|1—აკრეფილია სულ 8111 მან.

ქ რ ო ნ ი კ ა

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სამიანობა 1962 წლის პირველ კვარტალში (ინფორმაცია—თეატრალური—მარტი)

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ 1962 წლის პირველ კვარტალში გარდა მე-4 მოწვევის მე-6 პლენუმისა, რომლის მასალებიც ამავე ნომერში ინტეგრირებულია, მრავალი სხვა ღონისძიება, როგორც სახელმწიფო და სახალხო თეატრის კოლექტივებში, ისე კულტურის სახლებთან არსებულ თვითმოქმედ დამატულ წრეებში და კულტურის უნივერსიტეტებში.

საზოგადოებამ საქ. სსრ კულტურის სამინისტროსთან, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურ სახლთან და კულტურის კავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად მოაწყო რესპუბლიკის სახალხო თეატრების მუშაკთა სემინარ-თათბირი. თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქ. სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ანხ. ა. დვალიშვილმა. მოხსენებით თემაზე „სახალხო თეატრების მუშაკთა ამოცანები სკკ XXII ყრილობის ვადამწვეტილებათა საფუძველზე“ გამოვიდა კულტ. საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი ანხ. აბესალოშვილი კალანდარიშვილი, რის შემდეგაც წაკითხული იქნა თემატური მოხსენებები: 1. „რეესტრის საკითხები სახალხო თეატრში“—რეგ. მიხეილ გიფიშვილი, 2. „სასცენო მეტყველების ძირითადი საკითხები“, დოც. ბ. ნიკოლაიშვილი, 3. „სპექტაკლის ორგანიზაცია სახალხო თეატრში“.—ოთარ ინდრონიკაშვილი, 4. გრიმი სპექტაკლში“.—მ. დედანიშვილი.

შემოქმედებითი საღამოების ციკლიდან საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ

ამავე პერიოდში სახელმწიფო თეატრში განხილულ იქნა სპექტაკლები, თბილისში — გრიბოედოვის სახ. თეატრში — „წესს გარეშე თამაში“ (განხილვაში მონაწილეობა მიიღო ანხ. ნ. შვანგირაძემ), რუსულ მოზარდმაყურებელთა თეატრში „კროშკას თავდასავალი“ (ეთ. ვალუტოვამ), ქართულ თოჯინების თეატრში „ცეროდენა“ (ნ. შვანგირაძემ).

რაიონულ სახელმწიფო თეატრებში განხილულ და მიღებულ იქნა სპექტაკლები: აკ. წერეთლის სახ. ქიათურის სახელმწიფო თეატრში: „ცხოვრების ჯარა“ და „ბედნიერი თიბლო“ (მონაწილეობა მიიღეს ნ. შვანგირაძემ, თ. ჯანელიძემ, ვ. კიკნაძემ და ვ. ლოლაძემ), „უდანაშაულოდ დამნაშავენი“ (მონაწილეობა მიიღო რესპ. სახ. არტ. პ. ფრანგიშვილმა), სოხუმის თეატრში „ბათაქეჟია“ (მიხ. გიგიშვილმა), თელავის სახელმწიფო თეატრში „სკაი და მგელი“ (ნ. გოძიაშვილმა), გ. ერისთავის სახ. გორის სახელმწიფო თეატრში მ. ბარათაშვილის „რატომ“ (ნ. კეველიშვილმა) და სხვა.

გარდა ამისა ბრიგადის წევრებმა ხელ. დანახ. მოღვაწეებმა პ. კანდელაკმა, დოც. ბ. ნიკოლაიშვილმა, და მ. დედნაშვილმა ნახეს და განიხილეს სპექტაკლები: მიხ. მრევლიშვილის „ხეავი“ და ვ. ივანიშვილის „ქორწილი წყნეთში“ (გორის თეატრში), „სკაპენის ოინები“ (ცხინვალის ქართულ თეატრში), ნ. გოგოლის „ქორწინება“ და ვ. გაგლოვის „ოქროს ვაშლი“ (ცხინვალის ოსურ თეატრში) და სხვ.

სახალხო თეატრებში ბრიგადის წევრებმა შ. მაჭავარიანმა, ტ. იაშვილმა და მ. ბაბლოიანმა ნახეს და განიხილეს სპექტაკლები: „გზაბნეული შვილი“ (ცხაქაიაში), „გლახის ნამბობი“ (სამტრედიაში), „ჯადო“ (წულუკიძის და სიღნაღში) „ბუღარა“ (ჩოხატაურში) „იმერეთის ღამეები“ (გურჯაანში) და სხვ.

ამავე პერიოდში სახელმწიფო თეატრისკოლექტივებში წაითხული იქნა მოხსენებები: საქართველოს თეატრი საზოგადოების მუშაობა და მისი ამოცანები“ (გორში და ცხინვალში მომხს. პ. კანდელაკი), „სასცენო მეტყველების ტექნიკა“ (გორში და ცხინვალში, მომხს. ბ. ნიკოლაიშვილი და ნ. კონტრიძე), „სიახლენი გრიმში“ (გორში და ცხინვალში თეატრალურ ინსტიტუტში, ბაქოს მ. აზიზ-

ბეგოვის სახ. და მოზ. მაყურებელთა თეატრებში „მოხს. მ. დედანაშვილი), „ქართული თეატრის დღესასწაული“ (გორის თეატრში, მომხს. ნ. შვანგირაძე), „სპექტაკლზე მუშაობის სამხადისის პერიოდი“ (სოხუმის თეატრში. მომხ. მ. გიგიშვილი), „რესპუბლიკის თეატრების მიმდინარე სეზონის რეპერტუარი“ (სოხუმის და ზუგდიდის თეატრებში. მომხ. ვ. ლოლაძე), „ქართველი ხელოვნების მოღვაწეები უცხოეთში“ (თეატრალური საზოგადოების აქტივზე, მომხს. დოც. ა. ცამციშვილი), „შობაბეჭდილებანი მოსკოვისა და ლენინგრადის სპექტაკლებზე“ (საზოგადოების რეისორთა სექციის სხდომაზე, მომხს. რეჟ. ვ. ვოლგუსტი), „ქართული კლასიკური მუსიკის ფუნდამენტები“ (რუსთავეს კულტურის უნივერსიტეტში, მომხს. მუსიკისცოდნე-მირა ფიხაძე და სხვ.

სახალხო თეატრების კოლექტივებში წაითხული იქნა მოხსენებები: „ქ. მარჯანიშვილისა და ალ. ახმეტელის შემოქმედებითი ურთიერთობა“ (ცხაქაიას, სამტრედიისა და წულუკიძეში, მომხს. შ. მაჭავარიანი), „რეჟისორის მუშაობა მსახიობთან სახალხო თეატრში“ (ცხაქაიაში სამტრედიასა და წულუკიძეში, მომხ. შ. მახლოიანი), „სახალხო თეატრის რეპერტუარი (ცხაქაიას, სამტრედიისა და წულუკიძეში მომხ. ტ. იაშვილი) რეჟისორის მუშაობა სპექტაკლზე სახალხო თეატრში. (ველისციხესა, ყვარელსა და ლაგოდეხში, მომხს. ნ. გოძიაშვილი), აგრეთვე კულტურის სახლებში: „მცირე ფორმის დრამატურია“ — გეგეჭკორში, მომხს. კ. გაწურელი), „ქართული თეატრის დღესასწაული“ დაბა წნარის წყლის კულტსახლში, მომხს. პ. ფრანგიშვილი), „მსახიობის ოსტატობა და რეისორის მუშაობა თვითმოქმედ დრამურში“ (სოფ. პლასტუნვაში — სოქის რაიონში, მომხს. რესპ. სახ. არტისტი ნ. ბეჟაშვილი) და სხვ.

გარდა ამისა საქართველოს თეატრალური საზოგადოების მე—V ყრილობის მზადებასთან დაკავშირებით თბილისსა და რესპუბლიკის თითქმის ყველა სახელმწიფო და სახალხო თეატრებში წაითხული იქნა მოხსენებები თემაზე „საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა 1958 წლის პირველ იანვრიდან 1962 წლის პირველ იანვრამდე“ (IV — V ყრილობამდე).



КРАТКАЯ АННОТАЦИЯ

Театральное Общество на службе народа

Наше поколение живет в эпоху воистину грандиозных творческих поисков и новаторства. Искусство должно помогать делу эстетического воспитания людей. В выполнении этой благородной и почетной задачи, значительная роль принадлежит Театральному Обществу, всей театральной общественности, которая призвана содействовать сближению театра с жизнью.

В этом направлении сделано не мало: написано много новых пьес о жизни и тру-

де советского человека, поставлены спектакли, воспитывающие зрителя идейно и эстетически. На смену идут новые поколения творческих работников театра, для их роста и поощрения постоянно проводятся конкурсы на лучшие современные пьесы, спектакли и роли. Победившие награждаются творческими командировками, почетными синегами, систематически устраиваются диспуты и разборы театральных постановок.

Шестой пленум четвертого созыва Театрального Общества Грузии

О Б З О Р

8 января 1962 г. состоялся шестой пленум четвертого созыва Театрального Общества Грузии. С докладом «Решения XXII съезда КПСС и задачи Театрального Общества Грузии» выступил председатель президиума Театрального Общества М. Мревлишвили. Он дал глубокий анализ новой программы КПСС, подробно остановился на вопросах поставленных на всесоюзном совещании по идеологическим вопросам.

Подчеркнул роль литературы и искусства в деле духовного формирования нового человека. Говорил о развитии национальной культуры народов СССР, о многообразии жанров советского искусства, а главным образом об образе нашего современника строителя коммунизма. Основные положения докладчика иллюстрировались примерами из постановок различных театров Грузии.

Праздник грузинского театра

Решением Министерства культуры Грузинской ССР с 1962 года восстановлен праздник «День грузинского театра» (14 января). В статье дается краткий очерк истории праздника «День грузинского театра», перечень мероприятий, связанных с этим днем в разное время и в различных городах Груз-

инии. Подчеркнута необходимость связать этот традиционный праздник с показом достижений современного театра, тем самым усилить связь грузинского театра с жизнью, превратить его в высокую трибуну воспитания нового человека.

Краткий обзор творческой связи русско-го и грузинского театров с 1845 года. Затем творческая биография Е. А. Сатиной и отчет об юбилейном вечере, который состоялся 29 января 1962 г. Торжественное заседание открыла нар. арт. СССР Верико Анджапаридзе, доклад о жизни и творчестве Е. А. Сатиной прочла доп.

Н. Шалуташвили. После торжественных приветствий от различных организаций во втором отделении были показаны сцены из спектаклей с участием Е. А. Сатиной, а также концерт с участием выдающихся мастеров грузинского и русского театров Тбилиси.

В Москве и в Ленинграде

Отчет режиссера русского ТЮЗ-а В. Вольгуста о поездке в Москву и Ленинград с целью изучения творческой жизни Большого Драматического театра им. Горького под руководством Г. Товстоногова. В статье дается краткий обзор 17 спектаклей, которые видел В. Вольгуст в Москве и Ленинграде, среди них „Четвертый“ К. Симонова в „Современнике“, „Рамаана“ в Центральном детском театре, „Орфей в аду“ в театре им. Моссовета и др. Подробно

рассказано о „Медее“ Эврипида в постановке Н. Охлопкова.

В продолжение двух недель В. Вольгуст посещал репетиции Г. Товстоногова. Он подробно рассказывает об условиях репетиции в Большом Драматическом Театре, об устройстве репетиционного зала, о спектаклях „Океан“ А. Штейна, „Четвертый“ К. Симонова, „Непокоренные“ Н. Дугласа и Г. Смита, отдельно останавливается на творчестве актрисы А. Дорониной.

В режиссерской секции

На очередном заседании секции с докладом „Грузинские деятели искусства за границей“ выступил Амиран Памцишвили. После краткого исторического экскурса о международных культурных взаимоотношениях Грузии с древнейших времен до XIX века, докладчик подробно рассказал о деятельности отдельных представителей разли-

чных отраслей грузинского искусства за её рубежом. Он подчеркнул необходимость изучения их деятельности и определения места каждого из них в истории грузинского искусства. После доклада зам. председателя секции М. Гижимквели ознакомил членом секции с ориентировочным планом дальнейшей работы.

Творческий вечер Акакия Пагава

26 февраля 1962 года в концертном зале им. Руставели состоялся творческий вечер Акакия Пагава в связи с 75-летием со дня рождения. Вечер открыл зам. министра культуры Грузинской ССР А. Двалишвили. Он говорил об А. Пагава как о выдающемся деятеле в вопросе воспитания театральных кадров и общественном деятеле. С докладом „Жизнь и творчество А.

Пагава“ выступила театровед Н. Швангирдзе. Она подробно рассказала о режиссерской, педагогической и общественной деятельности А. Пагава. Юбиляра приветствовали писатели, композиторы, певцы, художники, актеры театров Тбилиси и других городов Грузии, его бывшие ученики, студенты консерватории и театрального института.

Наша библиотека

Библиотека Театрального Общества Грузии была создана в 1947 г. Вначале она получала лишь газеты и журналы, а с 1948 года собирает и литературу, преимущественно театральную. Ныне в библиотеке Театрального Общества 4.600 книг, они укомплектованы предметно. Цель библио-

теки — оказать помощь работникам театра в подборе нужных материалов. В фондах библиотеки имеются старейшие издания, раритеты, а также библиографический материал о деятелях грузинского театра. Практикуется комплектование газетных вырезок из рецензий о спектаклях.

Наше издательство

Издательство „Хеловнеба“ было организовано в 1947 г. с целью издания творческих трудов, монографий, мемуаров, научных исследований и даже учебников. Из года в год растет количество и качество издаваемых книг, привлекается все больше новых и интересных авторов. В

статье дается анализ ряда книг по музыке, театру, хореографии, народному творчеству и др. С 1954 года руководителем издательства является поэт-драматург А. Адамия. При издательстве существует редакционная коллегия.

Финансовая деятельность Театрального Общества Грузии в период между IV и V съездами (с I января 1958 г. по I января 1962 г.)

Отчет творческого и материального содействия Театрального Общества Грузии различным театральным организациям с целью дальнейшего развития театрального искусства Грузии. Для выполнения этой задачи Театральное Общество Грузии имеет определенную производственно-финансовую базу в виде типографии, магазина и производственного отдела. Их работу контролирует государство. В отчете дается подробная картина планов, расходов и процентности выполнения, а также накопления суммы, большая часть которой остается Театральному Обществу. Указано

количество изданных за срок между IV и V съездами книг (104), количество авторских форм (768), тираж (439,000) и т. д. Отчет о работе президиума Театрального Общества, о финансировании проведенных им мероприятий: приобретение макетов, эскизов, конференции, сессии, творческие вечера и юбилей, дискуты, памятки выдающимся деятелям, дотации журналу „Театральная жизнь“, издательству „Хеловнеба“, конкурсы, путевки и денежные пособия, творческие командировки, шефская работа и т. д.

Деятельность Театрального Общества Грузии в первом квартале 1962 г. (Январь—февраль—март)

В статье перечислены мероприятия проведенные Театральным Обществом Грузии за этот срок: семинар-совещание народных театров республики, тематические лекции, охватывающие всю работу народных театров и доклады о деятельности Театрального Общества Грузии между IV и V съездами, проведенные почти во всех государственных и народных театрах республики. Дается отчет о работе специальных бригад, которые обсуждали спектакли театров г. г. Цхакая, Самтредиа, Пулукидзе, Сигнахи, Чохатаури, Гурджаани и др. В коллективах гос. театров были прочи-

таны доклады о технике сценической речи, о работе над спектаклем, о классической грузинской музыке и др. В коллективах народных театров — о творчестве К. Марджанишвили и А. Ахметели. На творческом вечере А. Пагава доклад об его жизни и творчестве (докладчик театровед Н. Швагирадзе), на юбилее Е. Сатиной доклад доц. Н. Шалуташвили о жизни и творчестве актрисы. Состоялось обсуждение ряда спектаклей театров Тбилиси и некоторых районных театров.

ს ა რ რ ე ე ა

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ხალხის სამსახურში	3
საქართველოს თეატრალური საზოგადოების ზეოთხე მოწვევის მიეჭვეს პლენუმი. მიმოხილვა	5
ქართული თეატრის დღესასწაული	10
ეკატერინე სატინას იუბილე	12
მოსკოვსა და ლენინგრადში	14
რეჟისორთა სექციაში	18
აკაკი ფაღავას შემოქმედებითი საღამო	19
ჩვენი ბიბლიოთეკა	21
ჩვენი გამომცემლობა	22
საქართველოს თეატრალური საზოგადოების ფინანსური საქმიანობა IV ყრილობიდან V ყრილობამდე	25
საქართველოს თეატრალური საზოგადოების საქმიანობა 1962 წლის პირველ კვარტალში იანვარი-თებერვალი-მარტი	28

СО Д Е Р Ж А Н И Е

	стр.
Театральное Общество Грузии на службе народа	3
Шестой пленум четвертого созыва Театрального Общества Грузии	5
Праздник Грузинского театра	10
Е. А. Сатина	12
В Москве и в Ленинграде	14
В режиссерской секции	18
Творческий вечер Ак. Пагава	19
Наша библиотека	21
Наша издательство	22
Финансовая деятельность Театрального Общества Грузии в период между IV и V съездами (с 1 января 1958 по 1 января 1962 г.)	25
Деятельность Театрального Общества Грузии в первом квартале 1962 г. (январь— февраль—март)	28

На правах рукописи

Т. О. Г.

В Е С Т Н И К

ТЕАТРАЛЬНОГО ОБЩЕСТВА ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Тбилиси—1962

№ 1 (19)